# საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 21 იანვარი. 2016 წ. №11 (7903), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავთ, სხვაგან ვერ ნახავთ!..



## მთავრობა – ბიზნესისთვის, ბიზნესი – ეკონომიკისთვის, ეკონომიკა – ამომრჩევლებისთვის

③



## შოთა რუსთაველი – 850

2016 წელი: პავლე ინგოროყვას მიერ დადგენილი თარიღით

⑤

## საქართველოს ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია კვლავ სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა

10 თანამოქალაქის დაღუპვაში სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბრალს სდებენ სენატორ ლუგარის სახელობის ცენტრს

⑧



ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტის პერსპექტივები

## ჩათრევას ჩაყოლა სჯობს!

⑥

## რატომ დაერია მაია ფანჯიკიძე საპატიო კონსულებს?

④

„საპატიო კონსულების ინსტიტუტის დაკნინება, სავარაუდოდ, მაია ფანჯიკიძის პირადი განაწყენებით აიხსნება“

## როგორი იქნება ქართველებისთვის გადმოცემული ლევილი?

⑦

## ქართული გენია როკვით გაფენილი...

სიურპრიზიც ამას ჰქვია

⑫



## საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე სანქციები იზრდება

③

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.428; ევრო - 2.645;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.468;
100 რუბლი - 3.082; თურქული ლირა - 0.799;
აზერბაიჯანული მანათი - 1.498;
1000 სომხური დრამი - 5.016

**ამინდი 21 იანვრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -5, | დღე +7 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -9, | დღე +5 |

დასავლეთ საქართველო:

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -3, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -8, | დღე +5 |
| თბილისი: | ღამე -2, | დღე +6 |


**ჩვენი მისამართია:**
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

# „მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია“ დავოსში...

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. იგი შვეიცარიაში, რიგით 46-ე სესიაზე დასასწრებად გუშინ გაემგზავრა.**



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრი სესიაზე – Eurasia and the Modern Silk Road სიტყვით გამოვა. ასევე მონაწილეობას მიიღებს „მსოფლიო ლიდერების არაფორმალურ შეხვედრაში“, სადაც განისაზღვრება მომავალი წლის ეკონომიკური პრიორიტეტები, დაესწრება სამუშაო შეხვედრებს სახელწოდებით, „შეხვდი ევროკომისიას“ და „მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია: ევროპის ახალი დღის წესრიგი“.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე დაესწრება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამფუძნებლისა და აღმასრულებელი თავმჯდომარის, პროფესორ კლაუს შვაბისა და მისი მეუღლის ჰილდე შვაბის სახელით გამართულ სადილს.დაგეგმილია შეხვედრები მსოფლიოს წამყვანი კომპანიების წარმომადგენლებთან – მათ შორის, BP, Tata Sons Ltd, Lazard-ი, ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკისა და EBRD-ის პრეზიდენტებთან.

ვიზიტის ფარგლებში, გიორგი კვირიკაშვილი პირისპირ შეხვედრებს გამართავს სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან, მათ შორის, შვეიცარიის კონფედერაციისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებთან, ყაზახეთისა და ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ-მინისტრებთან. ასევე, დაგეგმილია შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდთან. საქართველოს პრემიერი ასევე შეხვდება დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს.

საქართველოს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორი გიორგი პერტაია, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი მამუკა ბახტაძე, საქართველოს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ბაჩიაშვილი, შვეიცარიას 22 იანვარს დატოვებს.

# საპარლამენტო სია 79 წლის აკადემიკოს კილურაძის გარეშე

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მმართველი კოალიციის არაფორმალური ლიდერი ბიძინა ივანიშვილი „ქართილი ოცნების“ საპარლამენტო სიაზე მუშაობას აგრძელებს.**



როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, მომავალ საპარლამენტო სიაში პარლამენტის უხუცესი წევრი – 79 წლის ივანე კილურაძე არ იქნება.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილურაძე, რომელიც მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსია, ივანიშვილს აღარ მოსწონს.

ივანიშვილს მისმა გარემოცვამ არაერთხელ მიანიშნა, რომ კილურაძე პერიოდულად არასასურველ კომენტარებს აკეთებს, პარტიულ დისციპლინას არ ემორჩილება და რამდენჯერმე დახურული შეხვედრების დეტალები გაასაჯაროვა.

როგორც ცნობილია, ივანიშვილი აპირებს მომავალი საპარლამენტო სიის ფორმირება თებერვლის ბოლოს დაასრულოს.

# მაღლაფერიძე ოცნების პირველ ათეულშია!

**კოალიცია „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიის პირველ ათეულში ადგილს ტელეკომპანია GDS-ის გადაცემა 20/30-ის მთავარი პროდიუსერი ვასილ მაღლაფერიძე დაიკავებს.**



მაღლაფერიძე მომავალ პარლამენტში რიგითი წევრის სტატუსით შესვლას არ აპირებს.

იმ შემთხვევაში თუ რესპუბლიკელები კოალიციის მიღმა დარჩებიან, მაღლაფერიძე პარლამეტის თავმჯდომარეობის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება. აქედანვე განიხილება ორი სხვა ვარიანტიც, რომლის მიხედვით, მაღლაფერიძე ან პირველი ვიცე-სპიკერის, ან განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს.

ამჟამად მაღლაფერიძე ბიძინა ივანიშვილთან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირია. ივანიშვილი განსაკუთრებით ითვალისწინებს მის აზრს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში და ცალკეულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით.

# ცამეტი პარტია რიგგარეშე არჩევნების წინაშე

**ოპოზიციური პარტიების ნაწილი 28 იანვარს დაგეგმილ გარდაბნის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს, – განაცხადა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძემ.**

კაციტაძის განცხადებით, ბოიკოტის მიზანია, ხელისუფლების პოლიტიკური იძულება, არსებული საარჩევნო სისტემა შეცვალოს.

„ყველა ის ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, რომელიც უარს იტყვის ბოიკოტზე და გადაწყვეტს, ხელისუფლებას მაშველი რგოლი გადაუგდოს, თვითლუსტრირებას მოახდენს და შეფასდება, როგორც ხელისუფლებასთან გარიგებაში მყოფი პოლიტიკური ძალა. ბოიკოტის მიზანია, ხელისუფლების პოლიტიკური იძულება, შეასრულოს საკუთარი დანაპირები, მაღალი პოლიტიკური კონსენსუსით შეცვალოს არსებული საარჩევნო სისტემა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის კონკურენტუნარიანი და სამართლიანი საარჩევნო გარემო უზრუნველყოს“, – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს 13 პარტია აწერს.



კაციტაძის განცხადებით, გარდაბნის რაიონის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ მარტო დატოვებას ხელს ნაციონალური მოძრაობა უშლის.

„ეს „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის ურთიერთთანამშომლობის ლუსტრირების მორიგი გამოხატულებაა. ჯერ წინ გვაქვს ერთ კვირაზე ოდნავ მეტი იმისათვის, რომ არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გარდაბანში მარტო დავტოვოთ“, – აღნიშნა მამუკა კაციტაძემ.

# ევროკავშირთან საქართველოს საგარეო ვაჭრობა გაიზარდა

**2015 წელს ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 6 პროცენტით გაიზარდა და „საქსტატის“ მონაცემებით, 3165 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.**

აქედან ექსპორტი 646 მლნ. აშშ დოლარი იყო (4 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2518 მლნ. აშშ დოლარი (6 პროცენტით მეტი).

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 32 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 29 პროცენტი და იმპორტში 33 პროცენტი. ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 34 პროცენტი (2014 წელს 30 პროცენტი).

2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 9928 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია; საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5521 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56 პროცენტი შეადგინა.

# დსთ-ს ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა

**დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წელს 2808 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქსტატის მონაცემებით, 2014 წელთან შედარებით 22 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 840 მლნ. აშშ დოლარი (43 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 1968 მლნ. აშშ დოლარი იყო (7 პროცენტით ნაკლები). საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 28 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 38 პროცენტი და იმპორტში 25 პროცენტი (2014 წელს შესაბამისად 31, 51 და 25 პროცენტი). 2015 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 20 პროცენტი (2014 წელს 11 პროცენტი).**



2015 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 9928 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია; საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2015 წელს 5521 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 56 პროცენტი შეადგინა.

# ცვლილებები საგადასახადო კოდექსში ტურიზმის განვითარებისთვის

**სამთო კურორტებზე თოვლზე სამოძრაოდ განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების იმპორტის წახალისებასა და აღნიშნული კურორტების ტურისტული პოტენციალის ზრდას ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სამთო კურორტებზე თოვლზე სამოძრაოდ განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალების იმპორტი ან/და მიწოდება ჩათვლის გარეშე გათავისუფლდა დამატებული ღირებულების გადასახადისგან.**



სამინისტრო აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული აღნიშნული ცვლილება ხელს შეუწყობს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას ქვეყანაში და ტურისტული პოტენციალის ზრდას.

# მღებრიშვილს ჩუბინიძე შეცვლის

**შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, გენერალ-მაიორი ანზორ ჩუბინიძე დაიკავებს.**

„როგორც „ჯი-ეიჩ-ენისთვის“ გახდა ცნობილი, ანზორ ჩუბინიძემ შეთავაზება პირადად ბიძინა ივანიშვილისგან მიიღო.



ანზორ ჩუბინიძემ შსს მინისტრის პოსტზე შეთავაზება ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში მიიღო, თუმცა მაშინ ჩუბინიძემ მინისტრის პორტფელის ჩაბარებაზე უარი განაცხადა. ჩუბინიძის უარის შემდეგ შს მინისტრად გიორგი მღებრიშვილი დაინიშნა.

რაც შეეხება სახელმწიფო დაცვის უფროსის პოსტს, „ჯი-ეიჩ-ენის“ ინფორმაციით, ჩუბინიძის ადგილს, ბიძინა ივანიშვილის დაცვის უფროსი – ალეკო თოდუა დაიკავებს.

ამ დროისთვის უცნობია სად გააგრძელებს საქმიანობას შს ამჟამიდელი მინისტრი გიორგი მღებრიშვილი.

# დათხოვნილი თანამშრომლები მერიის წინააღმდეგ

**თბილისის მერიიდან ახალ წლამდე გათავისუფლებული 120 ადამიანი სასამართლოში ჩივილს გეგმავს.**

**როგორც მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, მათი სამსახურიდან გაშვების მიზეზი უსაფუძვლო იყო.**

„ვარდების მოედანზე ვიყავით გაყვანილი ახალი წლის ღონისძიებაზე და იქ გვითხრეს, რომ ხელშეკრულება აღარ გაგიგრძელდებათო და შეგიძლიათ, სახლში წახვიდეთო. ავედი განყოფილების უფროსთან და ვკითხე, მითხარით უბრალოდ, რა მიზეზით მიშვებენ სამსახურიდან-მეთქი. სამი შვილის მამა ვარ. როგორც გაირკვა, მოადგილემაც უთხრა, მე ამას არ ვწყვიტავო“, – აცხადებს მერიის ყოფილი თამაშრომელი სანდრო ბიჭიაშვილი.

თავის მხრივ, როგორც მონიტორინგის ცენტრ „მედიტორის“ დამფუძნებელმა გივი კუბლაშვილმა განაცხადა, აღნიშნული თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ მოხდა.

„კიდევ ერთხელ ფიქსირდება, რომ მერიაში ვინც მუშაობენ, არიან აბსოლუტურად უცოდინრები. წარმოდგენა არა აქვთ, არც შრომის კოდექსზე, არც ზოგადად ადამიანის უფლებებზე. ჩვენ იურისტებთან კონსულტაციის შედეგად გავარკვიეთ ის, რომ თუ ადამიანი მუშაობს სამ წელზე მეტხანს ხელშეკრულებით, მისი ხელშეკრულება ითვლება პრინციპში უკვე უვადოდ და აქედან გამომდინარე, მათი განთავისუფლება უკვე მიზეზის გარეშე გამორიცხულია“, – აღნიშნა გივი კუბლაშვილმა.

**საქართველოს მთავრობა ბიზნესს კარს ფართოდ უღებს. საარჩევნო წელს ხელისუფლება განსაკუთრებით დამთმობი ხდება. გარდა ამისა, რეგიონში ურთულესი კრიზისია. ამიტომაც მთავრობისა და ბიზნესის ერთად დგომა დღეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამორიცხული არ არის, საქართველოშიც ყაზახური ან აზერბაიჯანული სცენარი განვითარდეს.**



# მთავრობა – ბიზნესისთვის, ბიზნესი – ეკონომიკისთვის, ეკონომიკა – არჩევნებისთვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბიზნესმენებს მთავრობის 4 მთავარი მიმართულება გააცნო, რომლებიც ძირეულ რეფორმებს ითვალისწინებს: **საგადასახადო რეფორმა, ჩართულობის, გამჭვირვალობის რეფორმა, რეგიონების განვითარება და ძირეული საგანმანათლებლო რეფორმა.** საგადასახადო რეფორმას ახლავს როგორც საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრაციული ნაწილი და მოიცავს გადასახადების ლიბერალიზაციას, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციას. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის იგეგმება ე.წ. „სტარტ აპ“-ის დაფინანსება.

**მთავრობის საგადასახადო ლიბერალიზაციაში, რეინვესტირებისას მოგების გადასახადისგან გათავისუფლება იგულისხმება.** როგორც გაირკვა, მთავრობა მოგების გადასახადთან დაკავშირებით ესტონურ მოდელზე მუშაობს. **კომპანიები მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში დაიბეგრებიან.**

ბიზნესსექტორი მოგების გადასახადის რეფორმას უკვე ორი წელია, ითხოვს. ბიზნესასოციაციაში აცხადებენ, რომ ესტონურ მოდელზე გადასვლა კაპიტალის დაგროვებას ხელს შეუწყობს და საგადასახადო ადმინისტრირებას გაამარტივებს. ასოციაციაში განმარტავენ, რომ რეფორმის განხორციელებისას საგადასახადო კოდექსში დამატებითი ცვლილებების შეტანა იქნება საჭირო.

მთავრობის გეგმა დამწყები ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე ითვალისწინებს „სტარტაპების“ დაფინანსების მექანიზმების შექმნას, რაც, ჯამში, სხვა ინიციატივებთან ერთად, ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ საქართველოს ეკონომიკა შეძლებს უფრო ჩქარი ტემპით განვითარდეს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტის ნიკო მჭედლიშვილის თქმით, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობას არ აკმაყოფილებს ეკონომიკის სამპროცენტიანი ზრდა, რაც, რეგიონის სხვა ქვეყნების ეკონომიკის მდგომარეობის გათვალისწინებით, ცუდი მაჩვენებელი არაა.

**„მთავრობა აცნობიერებს იმ სირთულეებს, რაც არის რეგიონში. ფიქრობს, რომ სასურველი იქნებოდა უფრო მაღალი ტემპი გვქონოდა ეკონომიკაში, პლუს არჩევნები ახლოვდება, ერთი წელიც კი არ დარჩა. მთავრობა ცდილობს, რომ რაღაც ახალი შემოიტანოს... ვფიქრობ, მოგების გადასახადის გაუქმება — ეს არის რევოლუციური იდეა. ამას ძალიან დიდი გაბედულება სჭირდებოდა“,** — აღნიშნა ნიკო მჭედლიშვილმა.

რაც შეეხება ეკონომიკის დეკრიმინალიზაციას, ეს რეფორმა გამოძიების პროცესში ბიზნესმენისთვის წინასწარი პატიმრობის თავიდან აცილებას გულისხმობს. ამასთანავე, ამა თუ იმ კომპანიაში ფინანსური პოლიციის საქმიანობა რეგლამენტირებული უნდა იყოს.

საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის ხელმძღვანელის იციკ მოშეს განცხადებით, კარგი იქნება თუ ინვესტორები, რომლებიც 10 მილიონზე მეტ ინვესტიციას განახორციელებენ საქართველოში და100 ადამიანს დაასაქმებენ, გარკვეული გადასახადებისგან გათავისუფლდებიან იმ დრომდე, სანამ ინვესტიციას ამოიღებენ. იციკ მოშე ამბობს, რომ ეს პრაქტიკა ისრაელში ძალიან კარგად მუშაობს. მისი აზრით, 2016 წელი იქნება ვარდნის წელი, მსოფლიო ეკონომიკა კიდევ ქვემოთ ჩადის და ამ ვითარებაში საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას აქვს უდიდესი შანსი, რომ განსაკუთრებით მოიზიდოს ინვესტორები.

**„მე წუხელ ჩამოვედი ისრაელიდან, თვითმფრინავი ბოლომდე სავსე იყო. მათგან 25% ის ინვესტორები იყვნენ, რომლებიც საქართველოში მუშაობენ და 25% კი ინვესტორები, რომლებიც საქართველოში ბრუნდებიან. დღეს ინვესტორებს სხვა ალტერნატივა არა აქვთ. არ მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა, მაგრამ ვინაიდან მსოფლიოში სხვა ალტერნატივა არ არის, საქართველოს აქვს იმის შანსი, რომ თავისი სიტყვა თქვას“,** — აღნიშნა იციკ მოშემ.

**ამასთანავე, მთავრობის ადმინისტრაციაში სპეციალური დანაყოფი შეიქმნება, რომელიც კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების და მისი შესრულების ვადებს, ასევე გამჭვირვალობას გაუწევს მონიტორინგს.**

**„რეფორმის ერთ-ერთი ბლოკი გულისხმობს გამჭვირვალობის გაზრდას, ანუ მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში თქვენი მაქსიმალური ჩართვის უზრუნველყოფას. ეს თავისთავად მოიცავს მთავრობის მუშაობის უფრო მეტ გამჭვირვალობას“,** — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ ნებისმიერ ადამიანს მთავრობის გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის შეგრძნება უნდა ჰქონდეს.

**ბექა დანელია**

## ◉ დღის მთავარ თემებზე

### აზერბაიჯანს საჭირო გაზის მოწოდება ტექნიკურად არ შეუძლია



**ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა გადაცემა არჩევანში ისაუბრა და თქვა, რომ საქართველო გამოსავალს გაზსაცავის აშენებით მიიღებს.**

**„აზერბაიჯანს შეიძლება, ჰქონდეს საკმარისი გაზი, მაგრამ ვერ განახორციელებს, არ შეუძლია, რადგან ის მილსადენი, საიდანაც ვიღებთ ჩვენ გაზს, იმაზე მეტს ფიზიკურად ვერ ატარებს, რამდენსაც ვიღებთ დღეს,“ — განაცხადა კახა კალაძემ.**

**„ჩვენ თუ არ გვექნება შესაბამისი ბუნებრივი აირი, მოგვიწევს თბოსადგურების გაჩერება, მოგვიწევს რუსეთიდან დამატებითი ელექტროენერგიის წამოღება, რაც გაზრდის ხარჯებს, რაც აისახება ტარიფში და ჩვენს მოქალაქეებს მოუწევთ, ტარიფში 4-5 თეთრით მეტი გადაიხადოს“.**

**ენერგეტიკის მინისტრი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოზე ზეწოლა მოსკოვს მხოლოდ „გაზპრომით“ შეუძლია და აცხადებს, რომ რუსეთს საქართველოზე ზეწოლის მოსახდენად სხვა ინსტრუმენტები აქვს.**

**„ვერ დაგეთანხმებით, რომ მხოლოდ და მხოლოდ „გაზპრომით“ და ბუნებრივი აირით არის შესაძლებელი საქართველოზე ზეწოლა განახორციელო. ჩვენდა სამწუხაროდ, ენერგეტიკული თვალსაზრისით, გარკვეულწილად, დამოკიდებული ვართ რუსეთზე — წლების განმავლობაში ელექტროენერგია შემოგვაქვს რუსეთიდან, რადგან რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ის საუკეთესო ფასად გვაწვდის. ეს ჩემი დაწყებული ურთიერთობები არ არის, ეს არის ჩემი წინამორბედი მინისტრების მიერ აშენებული ურთიერთობები და მინდა გითხრათ, რომ ენერგეტიკის სექტორში მართლაც კარგი, გამართული ურთიერთობებია. მე არ ვაპირებ იმ ურთიერთობების დანგრევას, რომელსაც ჩემი წინამორბედები წლების განმავლობაში აშენებდნენ. მე გამოვდივარ სწორედ ქვეყნის ინტერესებიდან“, — განაცხადა კალაძემ.**

### საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებზე სანქციები იზრდება

**21 იანვრიდან საქართველოს პარლამენტი საგზაო მოძრაობის შესახებ კანონში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესატანი ცვლილებების განხილვას იწყებს. პროექტი რიგი დარღვევების შემთხვევაში სანქციების გამკაცრებას, მართვის მოწმობაზე 100-ქულიანი სისტემის დაწესებას და მარჯვენასაჭიანი და საჭეგადატანილი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას გულისხმობს.**

**შსს-ს მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით, შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთისა და საპირისპირო მიმართულებით მოძრაობაზე 300-ლარიანი ჯარიმა დაწესდება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მკაცრდება მძღოლის მიერ ქვეითად მოსიარულეებთან მიმართებაში წესების დარღვევაზეც — პირველი დარღვევის შემთხვევაში ჯარიმა იქნება 40 ლარი, იმავე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი 150 ლარი. ასევე იზრდება ავტომობილის მართვის დროს მძღოლის მიერ მობილურით სარგებლობისთვის დაწესებული ჯარიმა — სანქცია 10-ის ნაცვლად, 30 ლარი იქნება. ძალაში რჩება ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლისთვის ავტომანქანის მართვის მოწმობის 6 თვით შეჩერება, თუმცა მოქმედი კანონით, მოქალაქეს შეუძლია, მართვის უფლების აკრძალვის მეორე დღიდანვე მისი ჯარიმით შეცვლა მოითხოვოს, პარლამენტში ინიცირებული პროექტით კი, პირს ასეთი უფლება მხოლოდ 3 თვის გასვლის შემდეგ ექნება.**

**დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის დადგენილი მართვის მოწმობის ჩამორთმევის სანქცია, რიგ შემთხვევებში ფულადი ჯარიმით შეიცვლება, რაც ქულათა სისტემის დანერგვით არის განპირობებული. მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზეც ჩართულია სიგნალი ან რომელიც ესკორტს ახორციელებს, დღეს მოქმედი კანონით მართვის მოწმობის ერთი წლით შეჩერებას ითვალისწინებს, პროექტით კი ეს სანქცია 100-ლარიანი ჯარიმით შეიცვლება. მართვის მოწმობის ერთი წლით შეჩერება 500-ლარიანი ჯარიმით იცვლება ისეთი ადმინისტრაციაული დარღვევის ჩადენისთვის, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა და ჯგუფურად მოძრაობაში მონაწილეობა.**

**მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას კომიტეტის წევრებს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი დღეს წარუდგენს.**

### სალომე ზურაბიშვილი: რუსული განვითარების გზა არ არსებობს



**მე ვერ ვხედავ საქართველოს განვითარების სხვა პერსპექტივას, ეს იქნება ეკონომიკური, საზოგადოებრივი თუ სისტემის ფორმით, გარდა დასავლურის — ამის შესახებ განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა გადაცემა „პრიორიტეტებში“ გააკეთა.**

**ზურაბიშვილმა განაცხადა ,რომ რუსეთი არ არის შემჩნეული კეთილმეზობლური ურთიერთობებით არც ერთ ქვეყანასთან. მისივე თქმით, რუსული განვითარების გზა არ არსებობს და ეს არ არსებობს თუნდაც რუსეთისთვის. საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვერ ხვდება, რომ ცხოვრობს 21-ე საუკუნეში და ის მოქმედებს იმპერიალისტური მიზნებით.**

**სალომე ზურაბიშვილმა ვიზალიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებითაც ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველოში არსებული პრორუსული ძალების განცხადებები, თითქოსდა ევროკომისიის დადებითი დასკვნა უმნიშვნელოა, არ არის მართალი. მისი თქმით, რუსეთის დღეს არსებული მოდელი არავისთვის პერსპექტივას არ წარმოადგენს.**

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი



# რატომ დაერია მაია ფანჯიკიძე საპატიო კონსულებს?

## „საპატიო კონსულების ინსტიტუტის დაკნინება, სავარაუდოდ, მაია ფანჯიკიძის პირადი განაწყენებით აიხსნება“

**უცხო ქვეყნების საპატიო კონსულები ღიად საუბრობენ იმ პრობლემის შესახებ, რომელთა წინაშეც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის მიერ მათთვის არსებული პრივილეგიების გაუქმების შემდეგ აღმოჩნდნენ.**

**ფილიპინების რესპუბლიკის გენერალური კონსული საქართველოში თემურ ჭიჭინაძე აცხადებს, რომ საპატიო კონსულების ინსტიტუტის დაკნინება, სავარაუდოდ, მაია ფანჯიკიძის პირადი განაწყენებით აიხსნებოდა.**

**ადამიანი ყოველთვის უშვებს შეცდომას, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა აღიაროს ეს. როგორც აღვნიშნე, ეს „რეფორმა“, რასაც ფანჯიკიძის „რეფორმას“ უწოდებენ, პიროვნულად განაწყენებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.**

— თქვენი მედიასაშუალებიდან შევიტყვე, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ საპატიო კონსულებთან მიმართებით მაია ფანჯიკიძის ხისტი პოლიტიკის გადახედვა მოითხოვა. ამის შემდეგ გავეცანი ქალბატონი ფანჯიკიძის პასუხს და მინდა, ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო. წელიწადნახევარია, რაც ეს ფაქტი მოხდა და ამასთან დაკავშირებით პირველად თქვენ გესაუბრებით. ბატონი ზვიადის განცხადებას მივესალმები, ჩემი აზრით, დროული და აუცილებელი იყო, რადგან საპატიო კონსულთა ინსტიტუტი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში არსებობს და სერიოზულ საქმეებზეა ორიეტირებული და პასუხისმგებელი. ამიტომ მისი გაუქმება, რასაც ქალბატონი მაია შეეცადა, რა თქმა უნდა, რბილად რომ ითქვას, არასწორი იყო. ბატონ ზვიადს ვეთანხმები პათოსში, ერთი რამის გარდა, მე ვერ ჩავთვლი, რომ ეს მაია ფანჯიკიძის ხისტი პოზიცია იყო. ჩემი აზრით, ეს იყო ვიღაცაზე გაბრაზებული ადამიანის პოზიცია, ვინაიდან მსგავსი პრეცედენტი დიპლომატიის ისტორიაში არ მოიძებნება.

**— მაია ფანჯიკიძე ამბობს, რომ ახალი არაფერი მოუგონია, ცვლილებები ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე გაატარა და პრივილეგიები გაუუქმა საპატიო კონსულებს. ამდენად, საინტერესოა, ვის უნდა გაებრაზებინა მაია ფანჯიკიძე?**

— გაბრაზებული ადამიანის პოზიცია გამოიხატება იმაში, რომ, საერთოდ, როცა რაღაცის ცვლილება ხდება დიპლომატიურ კორპუსში, ეს უნდა მოხდეს არა მარტო საპატიო კონსულებთან, არამედ იმ სახელმწიფოებთან კონსულტაციების შედეგად, რომელთაც ჩვენ წარმოვადგენთ. ამ შემთხვევაში, ჩვენ წარმოვადგენთ იმ 22 ქვეყანას, რომლებიც აკრედიტირებული არიან საპატიო კონსულების სახით საქართველოში. ჩვენთან არავითარი კონსულტაცია არ ყოფილა და მოულოდნელი იყო ის ფაქტი, როდესაც გაფრთხილების გარეშე მოგვიხსნეს აკრედიტაცია. ეს ჩვენი უფლებამოვალეობების მთლიან შეზღუდვას ნიშნავდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კონსულთა ასოციაცია ითხოვდა შეხვედრას სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, რაც, სამწუხაროდ, დღემდე არ მოხერხდა. ღირსად არ ჩაგვთვალეს, რომ 22 მეგობარი ქვეყნის კონსულებს შეხვედროდა რომელიმე ჩინოვნიკი და განემარტა. არათუ ევროკავშირში, არამედ მეხუთეხარისხოვან ქვეყნებშიც არ ხდება, რომ ყოველგვარი კონსულტაციების გარეშე შეზღუდონ ეს უფლებები და გააუარესონ არსებული სამუშაო პირობები. ავიღოთ მაგალითისთვის ფილიპინების საკონსულო, რომელსაც მე წარმოვადგენ. საკონსულო აწარმოებს სავიზო მომსახურებას როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ასევე აზერბაიჯანელებზე. ისე უცებ მოხდა ეს ყველაფერი, ერთი წლის განმავლობაში ვიზების გაცემა ადგილზე არ ხერხდებოდა, რის გამოც ქართველებსა და აზერბაიჯანელებს იმ პერიოდში ანკარაში წასვლა და ვიზების აღება იქ უწევდათ. ამით სერიოზული დისკომფორტი შეიქმნა. რაც შეეხება ევროკავშირს, შეიძლება, საქართველოს კონსულს იქ არ ჰქონდეს ისეთი პრივილეგიები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უკვე არსებული უფლებები დააკნინო და უარესი გახადო.

**— ექსმინისტრის თქმით, უცხო ქვეყნების საპატიო კონსულებს სამი ელემენტი მოაკლდათ ცხოვრებაში და სწორედ ამან გამოიწვია მათი უკმაყოფილება. კერძოდ, მათ მოეხსნათ დიპლომატიური იმუნიტეტი, დიპლომატიური ნომრები მანქანებზე, ასევე, მოეხსნათ დაცვა და ისინი ვალდებული არიან, უბრალო ხალხის მსგავსად, გადაიხადონ გადასახადები. თუ ისინი გამართავენ წვეულებას, ამ წვეულებაში გადახდილი ფული არ დაიბეგრება, მაგრამ, თუკი მეგობრებთან ერთად არიან, მათ მიერ გადახდილი ფული ჩვეულებრივ იბეგრება.**

— ამაზე პუნქტების მიხედვით გიპასუხებთ. პირველი, დიპლომატიური იმუნიტეტის მოხსნა ნიშნავს, რომ მე და თქვენ გავთანაბრდით. ვთქვათ, დაკავებულია ფილიპინების მოქალაქე ან პრობლემები აქვს საზღვარზე, როგორ გავაგებინო მესაზღვრეს, პოლიციელს, რომ გარკვეული უპირატესობა მაქვს? არის უბედური შემთხვევებიც, როცა საჭიროა გადავასვენოთ მიცვალებული, თუ კონსულს არა აქვს პრივილეგია, როგორ მოხერხდება ეს? არადა, როგორც ვენის კონვენციით, ასევე, გაეროს წესდებით გათანაბრებული ვართ კარიერულ კონსულებთან, რადგან ჩვენ გვიხდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზე ზრუნვა, რომლებიც აქ ცხოვრობენ და ეს მოქალაქეები საკმაოდ ბევრი არიან.

ჩემი კოლეგებიც აღნიშნავენ, რომ ჩვენი სამუშაო პირობები უკიდურესად გაუარესებულია. დაიკარგა კომუნიკაცია დიპლომატიურ კორპუსთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან და ა.შ. ამას წინათ იყო შემთხვევა, როცა მოსკოვიდან ჩამოფრინდა ფილიპინელი ცნობილი ჟურნალისტი, რომელსაც ვიზა არ ჰქონდა იმ მომენტში. ცხადია, დამიკავშირდნენ, მაგრამ ამ შეზღუდვების გამო ვერაფრით მოვახერხე აეროპორტში შესვლა. ის კაცი უკან გააბრუნეს.ქ-ი მაია დაცვის მოხსნაზე რომ ლაპარაკობს, ჯერ ერთი, დაცვის დაყენების საკითხს მინისტრი არ წყვეტს, ეს სახელმწიფოს კომპეტენციაა, რომელსაც კონვენციით ეკისრება ეს ვალდებულება. რა ვუყოთ იმ საბუთებს, დოკუმენტაციას, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას, დაუცველი დავტოვოთ? ვინ აგებს ამაზე პასუხს? დაცვა ხომ კონსულს არ იცავს, ის იცავს იმ შენობას, დაწესებულებას, რომელშიც ეს საბუთები ინახება. რაც შეეხება გადასახადებს, ეს უბრალოდ ყურით მოტანილი არგუმენტია — თქვენთვის ცნობილია, რომ ძირითადად საპატიო კონსულებად ისეთი ხალხი ინიშნებიან, რომლებიც თავიანი ხარჯით სწევენ მომსახურებას, რადგან ბევრ ქვეყანას არ აქვს ამის შესაძლებლობა, ისევე როგორც საქართველოს.

**— და ძირითადად ამიტომაც არიან ბიზნესმენები?**

— რა თქმა უნდა, ამ ხარჯს თავისით სწევენ, რომ რაღაც ელემენტარული პრივილეგია მათ ჰქონდეთ. რაც 1963 წელს ვენის კონვენციით დაკანონდა. ჩვენი საპატიო კონსულების ბიზნესიდან წელიწადში გადასახადების სახით დაახლოებით 100 მილიონამდე ლარი შედის სახელმწიფო ბიუჯეტში. წარმოიდგინეთ, ეს ბიზნესმენები რომ წავიდნენ და ისადილონ, რაში სჭირდებათ შეღავათი? ჯერ ერთი, რესტორანში არავინ სარგებლობს ამ შეღავათით. რა შუაშია აქ მეგობრებთან გადახდილი თანხები? რესტორანში რომ წავიდე, სულაც არ მჭირდება ეს შეღავათი, რამდენი ფული შეგვაქვს ბიუჯეტში და ასი ლარის გულისთვის შეღავათი მჭირდება?

**— თუ გახსოვთ, ადრე ამერიკის მოქალაქემ ჩვენი ახალგაზრდა გაიტანა მანქანით და ამის გამო იგი არავინ დაიჭირა, ამ დროს კი ჩვენმა დიპლომატმა გიგა მახარაძემ ამერიკელი გოგონა ავტოსაგზაო შემთხვევისას შემთხვევით იმსხვერპლა და მან საკუთარ თავზე იწვნია ამერიკული მედიის სიმწვავე. საუბრობდნენ იმაზეც, რომ მას 7-დან 21 წლამდე ციხე ელოდა და საბოლოოდ ძლივს გამოვიდა ამერიკული ციხიდან. დიპლომატების მიმართ ორმაგი სტანდარტები ახალი არ არის.**

— ჩვენ ვალდებული ვართ ქართული კანონმდებლობის წინაშე და ვიცავთ ამ კანონს. თუ კანონს დავარღვევთ, ვაგებთ პასუხს, როგორც რიგითი მოქალაქეები. უბრალოდ, იმუნიტეტი გვიცავს, რომ უმიზეზოდ არ მოხდეს ჩვენი დაკავება და ხელი არ შეგვეშალოს საკონსულო საქმიანობაში. გიგა მახარაძის დაჭერა იმ მომენტში იყო სახელმწიფო სისუსტის გამოხატვა, მასაც იცავდა იმუნიტეტი. ამიტომ, როგორც ამერიკელ მოქალაქეს უნდა ეგო პასუხი, ისე უნდა ეგო ქართველსაც. აქ უპირატესობა არავის არ უნდა ჰქონოდა. თანაც, ეს იმუნიტეტი გიცავს გარკვეული პერიოდი, თორემ როცა ფაქტზე გიჭერენ, პასუხს აგებ კანონის წინაშე. მით უმეტეს, ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც წარმოვადგენთ უცხო ქვეყანას, კანონის წინაშე ვალდებული ვართ. რაც შეეხება ინვესტიციებს — ქალბატონი მაია აღნიშნავს, უნდა მოიზიდონ ინვესტიციებიო. ჯერ ერთი, ჩვენ უცხო ქვეყანას წარმოვადგენთ და ამის ვალდებულება არ გვაკისრია.

**— თუკი მაია ფანჯიკიძის არგუმენტებს აბსურდულად მიიჩნევთ, ფიქრობთ, რომ უმჯობესია, ყოფილმა საგარეო მინისტრმა რეალობა განმარტოს?**

— ადამიანი ყოველთვის უშვებს შეცდომას, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ უნდა აღიაროს ეს. როგორც აღვნიშნე, ეს „რეფორმა“, რასაც ფანჯიკიძის „რეფორმას“ უწოდებენ, პიროვნულად განაწყენებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. პარლამენტმა განიხილა და იურიდიულად შეამოწა ეს საკითხები, თორემ ზვიად კვაჭანტირაძე ჩემი ახლობელი არაა. თვითონ ზვიად კვაჭანტირაძემ, როგორც ძველმა გენკონსულმა თურქეთში, კარგად იცის, რა ფუნქციები აქვთ კონსულებს. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე სერიოზული და გამოდილი დიპლომატია. მათ იციან ყველაფერი და ეს ჩემი ან ვიღაცის ხათრით არ კეთდება. საპატიო კონსულების ინსტიტუტი ისევე უნდა შენარჩუნდეს, როგორც ადრე იყო. ეს თვით სააკაშვილმაც არ გააკეთა. სააკაშვილმა, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს ყველაფერი მოუხსნა, მას, როგორც სან-მარინოს კონსულს, ვერც იმუნიტეტი მოუხსნა და ვერც ეს სტატუსი ჩამოართვა, რადგან ბიძინა ივანიშვილს ეს ვენის კონვენციით ეკუთვნოდა. აქ არ არის მარტო კონსულებთან ურთიერთობა, არამედ იმ სახელმწიფოებთან ურთიერთობაცაა, სადაც ისინი მოღვაწეობენ. შეიძლება, ამაზე არ მოხდეს დიპლომატიური სკანდალი, მაგრამ თვითონ ამ ფაქტით ეს სახელმწიფოები გაოგნებული არიან, რატომ მოხდა ეს ამბავი. განმარტება მათაც არ მიუღიათ.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

## საუკეთესო 2G, 3G და 4G ქსელის მფლობელი მაგთიკომი 2016 წელსაც სამთავრობო კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულია

2016 წელს მაგთიკომის გამარჯვება სამთავრობო სტრუქტურებისათვის გამოცხადებულ ფიჭურ სატელეფონო კონსოლიდირებულ ტენდერში კვლავაც განაპირობა:

- მომსახურების მაღალმა ხარისხმა;
- დაფარვის უდიდესმა არეალმა;
- ტენდერის პირობებით მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ;
- ოპტიმალურმა ტარიფებმა;
- საუკეთესო 2G, 3G და 4G ქსელმა, რასაც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (2015 წლის მე-3 კვარტალის) მონაცემებიც ადასტურებს:

მაგთიკომს მობილურ ოპერატორებს შორის ყველაზე მეტი საბაზო სადგური აქვს, რაც მისი ქსელის საუკეთესო ხარისხს განაპირობებს.

| საბაზო სადგურები | მაგთიკომი | ჯეოსელი | ბილაინი |
|---|---|---|---|
| 2G GSM | 1404 | 1213 | 948 |
| 3G UMTS | 1278 | 717 | 0 |
| 4G LTE | 456 | 34 | 309 |
| სულ საბაზო სადგურები | 3138 | 1964 | 1257 |

* წლევანდელ ტენდერში გამარჯვებულად მაგთიკომთან ერთად ჯეოსელიც დასახელდა.

# ციკლიდან „დროის იეროგლიფები“

# 2016 წელი: პავლე ინგოროყვას მიერ დადგენილი თარიღით



**2016 წელი იუნესკომ შოთა რუსთველის წლად გამოაცხადა.**
**და ეს აღიარება ყველა ქართველისთვის სასიხარულო — მათთვისაც, რომელთაც უცხოელთა მიერ გამოთქმული შეფასება უზენაესი კანონის ტოლფასი ჰგონიათ, და მათთვისაც, რომელთაც არავის დახმარება თუ ჩაგონება არა სჭირდებათ, საკუთარი თურაშაული სხვის პანტას რომ დაამჯობინონ.**
**სასიხარულოდ იმიტომ, რომ შენც გცნობენ სახელმწიფოდ და მოვალედ მიიჩნევენ თავს, თანდათან გაიცნობიერონ და აღიარონ შენი კულტურული მიღწევანი.**

ასევე გავიხარეთ, როდესაც აკაკი წერეთლის წელი იუნესკომ ოფიციალურად დაადგინა.

როდესაც ვაჟა-ფშაველას წელსაც გაუკაფა გზა.

მოტივად გამოიყენა ქრონოლოგიური თარიღები, როგორც საერთოდაც მიღებულია ასეთ დროს.

ეს მოტივი გახდა საფუძველი შოთა რუსთველის წლის დადგენისაც:

850 წელი მწერლის დაბადებიდან ის შთამბეჭდავი რიცხვია, რომელიც — თუკი სახელმწიფო ხარ — კიდეც უნდა აქციო შენკენ კულტურული მსოფლიოს გამოხედვის მარჯვე საშუალებად.

აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ცხოვრების თარიღები ზედმიწევნით მოგვეხსენება, არამცთუ დაბადებისა და გარდაცვალების, გიმნაზიასა თუ საოსტატო სემინარიაში შესვლა-დამთავრებისაც და თვითეული თხზულების პუბლიკაციისაც... ის კი არა, სად წასულ-წამოსულან და ვის სტუმრებიან, არც ამ თარიღების დადგენა-დაზუსტება გაგვიძნელდება.

მაგრამ შოთა რუსთველის დაბადების თარიღს საიდანღა ვანგარიშობთ?

სრულ ბურუსსა და იდუმალებაში გადანაცვლებული კაცის ჰიპოთეზებს რომ ვერ გავცილებივართ მისი ზოგადი ბიოგრაფიის წარმოსახვის დროსაც, თორემ თარიღებს — თუნდ დაბადებისა ან გარდაცვალების — რომელი დოკუმენტური წყარო მიგაკვლევინებს?!

მაინც ვინ შემოიტანა მიმოქცევაში „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის დაბადების თარიღი, აგერ იუნესკოც მას რომ მოსჭიდებია და ჩვენთვის ასერიგად სასიხარულო გადაწყვეტილებაც მიუღია?

ვინ და:

პავლე ინგოროყვამ.

„რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ შემქმნელმა, შოთა რუსთველზე მონოგრაფიის დამწერმა, „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილი ტექსტის ორგზის გამომცემელმა, კიდევ არაერთი რუსთველოლოგიური ნარკვევის ავტორმა, ამ თემაზე ჯერ კიდევ საჯარო ლექციების წაკითხვით სენსაცია რომ მოახდინა XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში.

კიდევ ერთხელ უფლებააყრილი ქვეყანა თუ რაიმეს მოეჭიდა სულიერი გამძლეობისა და სიმხნევის შესანარჩუნებლად, მათ შორის შოთა რუსთველის ცხოვრების პავლე ინგოროყვასეულ ვერსიასა თუ მოდელსაც.

პავლე ინგოროყვას მეოხებით მოხდებოდა შოთა რუსთველის ვეება პორტრეტის გამოკიდება კრემლის სვეტებიან დარბაზში — 1934 წელს, მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დღეებში.

იგი იქნებოდა ორგანიზატორიც და მთავარი მომხსენებელიც 1937 წელს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 750 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე.

ხოლო „რუსთველიანა“ ხელმეორედ რომ დაიბეჭდებოდა მეცნიერის თხზულებათა შვიდტომეულის პირველ ტომში „რუსთველიანას ეპილოგთან“ ერთად 1963 წელს და გამოითქმოდა ის დაბეჯითებული რწმენა:

> რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხვეჭელსა,
> შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
> კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
> სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ამიერიდან შოთა — თავისი ბიოგრაფიით, ისევე ნაცნობი ხდება ჩვენთვის, როგორც ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟაო, — ზარივით ჩამორეკდა ეს სიტყვებიც:

— ამრიგად, ახლო წლებში, 1966 წელს, სრულდება რვაასი წელი შოთას დაბადებიდან.

და ჩაიფიქრებდა და შესაფერის პროსპექტსაც შეადგენდა ამ საიუბილეო თარიღის ჯეროვნად აღნიშვნისათვის მსოფლიო მასშტაბით, ყოველმხრივ რომ მოამზადებდა ორგანიზაციულ მხარეს, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის გამოცემას... 13 ტომად ივარაუდებოდა, კრიტიკულად დადგენილ ვერსიასთან ერთად ვახტანგისეული დედანიც რომ უნდა დაბეჭდილიყო, დამატება-გაგრძელებანიც, კრიტიკული აპარატიც, ლექსიკონიც, კონკორდანსიც, ზეპირსიტყვიერი ვერსიებიც, ცნობებიც რუსთველზეც და „ვეფხისტყაოსანზეც“ ძველქართულ მწერლობაში, ალბომიც, ერთ-ერთი ხელნაწერის მთლიანი ფაქსიმილეც, გამოკვლევებიც...

გრანდიოზული, მონუმენტური გამოცემა ჩაფიქრებულიყო, რისი ხორცშესხმაც პავლე ინგოროყვას თუ შეეძლო, ოღონდ... ხელოვნურად არ უნდა გადაეკეტათ გზა.



ვერ მოითმენდნენ, რუსთველის იუბილეს პავლე ინგოროყვას სახელი რომ უნდა გადაჯაჭვოდა — როგორც დაბადების თარიღის დამდგენის, მთავარი მომხსენებლისა და ამ მონუმენტური გამოცემის სულისჩამდგმელის — და საქართველოს მწერალთა კავშირი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით აუტოდაფეს გაუმართავდა დიდებულ მკვლევარს — საჯაროდ გადაუხევდნენ „რუსთველიანას“, რომელსაც გამოაცხადებდნენ ყოვლად ყალბ წიგნად, უკუღმართად რომ წარმოაჩენდა რუსთველის ბიოგრაფიასაც და XII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ სინამდვილესაც და... პავლე ინგოროყვას სრულიად ჩამოაცილებდნენ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნულ იუბილეს.

ეს ყოველივე დეტალურადაა წარმოჩენილი ჩემს ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი“ და ეს რიტორიკული შეკითხვაც იქ გაისმა:



თუ რუსთველის ბიოგრაფიის ინგოროყვასეული ვერსია ასეთი მიუღებელი იყო, რატომღა გადაიხადეს მსოფლიო მასშტაბის იუბილე მის მიერ დადგენილი თარიღის მიხედვით?

რუსთველის დაბადების თარიღად 1166 წლის აღიარება სიყალბისათვის მხარდაჭერა ყოფილა და ეგაა.

და 1966 წლის ზეიმი სიყალბეს რატომ განადიდებდა საკაცობრიო განფენილობით?..

სხვანი წარიტაცებდნენ სახელსაც და აღმატება-ჯილდოებსაც, სხვანი მიისაკუთრებდნენ ტიტულებსაც, სხვანი მოირგებდნენ სწავლულთა მანტიასაც...

მოგვიანებით წიგნში „რუსთველოლოგები“ — სადაც არამარტო რუსთველოლოგთა ღვაწლი წარმოჩნდებოდა, არამედ მათიც, სადმე გაკვრით მაინც რომ ეხსენებინათ „ვეფხისტყაოსანი“ თუ მისი შემოქმედი — ადგილი არ აღმოჩნდებოდა... პავლე ინგოროყვასთვის.

და აი, დგება 2016 წელი და... იუნესკო თავის მხრივ რომ გაახმაურებს შოთა რუსთველის სახელს იმ მოტივით, 850 წელი შესრულდა მისი დაბადებიდანო, კვლავ მიჩქმალული აღმოჩნდება პავლე ინგოროყვას სახელიც და ღვაწლიც:

თითქოსდა 850 წელი თავისთავად დადგენილიყოს.

არადა, პავლე ინგოროყვა მიგვიძღვის საერთაშორისო ასპარეზზე — კიდევ ერთხელ, და კვლავაც არაერთგზის გაგვიძღვება, თუკი შეგნებულად თუ უცოდინრობით არ მივაყრუებთ მის დამსახურებას.

ახლაც მწერალთა კავშირსა და კომუნისტურ პარტიას ხომ აღარ გადავაბრალებთ?

ის, რაც მოხდა 1966 წელს, რატომღა უნდა მეორდებოდეს ჩვენს რეალობაშიც?

კეისარს ამჟამად მაინც უნდა მიეგოს კეისრისა...

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება და ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ — ქართული კულტურისათვის თავგამოდებული პიროვნების დავით გალეგაშვილის თანადგომით — შეეცდებოდა გამოესწორებინა ეს უსამართლობა და 2016 წლის გამოცხადებას რუსთველისეულად გამოხმაურებოდა პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნაშრომების ოთხტომეული, უკვე რომ გამზადებულა გამოსაცემად, შესაფერისადაც გაფორმებული კარლო ფაჩულიას მიერ, და მკითხველი მალე იხილავს ერთიმეორის მიყოლებით.

**ახლა აუცილებელია:**

**იუნესკოს ოფიციალურად მივაწვდინოთ ხმა, ვისი წყალობითაა დადგენილი ის თარიღი, რუსთველის წლად რომ შერაცხა 2016 წელი.**

**და დავძინოთ, რომ ეს ის კაცია, რომლის მიერ გაშიფრულმა ქართულმა სანოტო დამწერლობამ ამხელა გამოძახილი ჰპოვა თავის დროზე და იუნესკო დიდი მოწონებით გამოეხმაურა ამ აღმოჩენას 1962 წელს და შესაფერისადაც წარმოაჩინა საერთაშორისო გარემოში — აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, და სავსებით შესაძლებელი გახლდათ პავლე ინგოროყვასათვის ნობელის პრემიის მინიჭებაც, საქართველოდან რომ არ შეეშალათ ხელი.**

**თუმც ეს უკვე სხვა სამსჯელოა, სხვა სატკივარი, კვლავაც რომ შეიძლება ქართული მუსიკალური დამწერლობის აღმოჩენის შემოტანა დასავლურ საზოგადოებრივ აზროვნებაში. და ვალდებულნიც ვართ, რომ საამისოდაც ვიზრუნოთ.**

**ჯერ ეს მოვახერხოთ:**

**2016 წელი მაინც წუდა ჩაივლის პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ღვაწლის აღუნიშნავად, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადების მოწმობა ან ანკეტა გვეპყრას ხელთ და მეცნიერული კვლევა-ძიება სულაც არ დასჭირებოდეს მის გამორკვევასა და ფარივით აზიდვას მთელი სამყაროს გასაგონად.**



**როსტომ ჩხეიძე**

# ჩათრევას ჩაყოლა სჯობს!



## ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტის პერსპექტივები

**გასული წლის დეკემბერში აზერბაიჯანულმა პორტალმა „Haqqin.az“-მა შეგვატყობინა ის, რაც ჩვენც კარგად ვიცოდით — საქართველოს სოციალური დეფოლტის თაობაზე. პორტალის ინფორმაციით, ყოველივე, ლარის დევალვაციისა და ინფლაციის ზრდის შედეგია. მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ უმკლავდება საბანკო კრედიტებს. ვადაგასული სესხების რაოდენობა, გასული წლის 11 თვის მონაცემებით, 141,4 მილიონი ლარით გაიზარდა, ე.ი. 56,2%. წლიურმა მატებამ 50% შეადგინა.**

ექსპერტთა მიხედვით, კრიზისი საბანკო სექტორსაც ემუქრება, რომლის საფინანსო სტაბილურობა რახანია დარღვეულია. ქვეყანაში შეინიშნება მოსახლეობის მასობრივი გაღატაკება. ყველაზე საგანგაშო ვითარება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთშია, სადაც ყოველი მეორე ადამიანი ღატაკია და მოსახლეობის 40.9% სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისში — 5.8% და ქვემო ქართლში — 6%.

აზერბაიჯანული პორტალი წუხილს გამოთქვამს ქართული ეკონომიკის თაობაზე, რაც არ არის გასაკვირი, რამეთუ სტრატეგიული პარტნიორობა წარმატებული მაშინაა, როდესაც პარტნიორების ეკონომიკა და სოციალური ყოფა ჯანმრთელია. აზერბაიჯანი თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს საქართველოს გაზის მოთხოვნებს, საქართველო კი, აზერბაიჯანის გაზის გზას ევროპისკენ.

საქართველო, აზერბაიჯანისთვის ღია ფანჯარაა ევროპაში. თუ საქართველოს არსებობაში აზერბაიჯანულ ტრანსნაციონალურ პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, არც საქართველო რჩება ვალში აზერბაიჯანთან. ეს უკანასკნელი ხომ საკუთარ გეოეკონომიკას საქართველოს სატრანზიტო დერეფანს უნდა უმადლოდეს?!

დამძიმებული ეკონომიკურ-სოციალური რეალობის ფონზე ერთობ პროვოკაციულად გამოიყურება ბუნებრივ აირთან დაკავშირებული წივილ-კივილი. სხვას ვერაფერს დაარქმევ იმ ავანტიურისტულ და პროვოკაციულ განცხადებებს, რასაც ქართულ მედიაში აქვს ადგილი. ინიციატივა ისევ ოპოზიციური „ნაცების“ და მათ აყოლილი ვაი-ექსპერტების, უფრო ვაი-ჟურნალისტების ხელშია. მათი „პატრიოტული“ აქტიურობა ყურს აყრუებს, გულს აწვრილებს და საქმეში გაუთვითცნობიერებელ მავანს, ხელისუფლებისა და მეზობელი ქვეყნის წინააღმდეგ განაწყობს.

მეზობელი იმიტომ ვახსენე, რომ სწორედ მის გაზზეა ერთი დავიდარაბა ატეხილი, ანუ „გაზპრომის“ გაზზე, რომლის საქართველოში „შემოშვებას“ ბედავს საქართველოს მთავრობა.

არ შევუდგები საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს „გაზპრომთან“ მოლაპარაკების პერიპეტიებზე საუბარს, არც რუსულ გაზთან დაკავშირებით გამართული პოლემიკის დეტალების განხილვას, ვინაიდან ვთვლი, რომ ეს საკითხი სპეციფიკურია, პროფესიონალთა გადასაწყვეტია და არა დილეტანტი, თანაც ავანტიურისტი „ნაციონალების“, მათზე მიწებებული ექსპერტებისა და უმეცარი ჟურნალისტების.

როდესაც წმინდა ეკონომიკურ და ენერგეტიკულ თემას პოლიტიკას უკავშირებ, აღარც ეკონომიკა გამოდის და აღარც ენერგეტიკა. ხელში შიშველი პოლიტიკა გრჩება — ისეთი, „ვაის“ რომ უწოდებენ. „გაზპრომის“ ოპონენტები პირაქაფებული აცხადებენ, რომ მისი საქართველოში შემოსვლა დააზიანებს ქვეყნის ეკონომიკას, მომავალს, ვინაიდან „გაზპრომი“ სახელმწიფო კორპორაციაა და როდესაც დასჭირდება, შეუძლია ონკანის გადაკეტვა. რუსეთი ჩვენი მტერია და მისი გაზის ჭაჭანება აქ არ უნდა იყოს და ა.შ.

არადა, რუსული გაზი რახანია აქ არის და არა მარტო გაზი, არამედ მსხვილი რუსული ბიზნესი. მარტო ენერგეტიკაში 21 რუსული კომპანია მუშაობს. რუსული კომპანიების ჩამონათვალი გასულ წელს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ვისაც სურს, შეუძლია გაეცნოს.

მე, კი, ჩემი მხრივ, ვიტყვი, რომ საზოგადოების ყურადღების გადატანა ნაკლებად საჭირბოროტო საქმეზე დანაშაულის ტოლფასია. როდესაც საქართველოში მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ვითარებაა, ნაცვლად იმისა, საქმეზე ვილაპარაკოთ, „პატრიოტულ“ გაზზე ვლაპარაკობთ, რითაც ქვეყნის გადარჩენას ვლამობთ.

რუსეთმა რომ ონკანი გადაგვიკეტოსო? — ომახიანად ვარაუდობენ „ნაცები“. აზერბაიჯანმა რომ გადაგვიკეტოს? — ეს ვარაუდიც ხომ შეიძლება? რა უდგას წინ ილჰამ ალიევს? ერთ დღესაც რაღაცაზე გაგვინაწყენდება და გადაგვიკეტავს, მაგრამ პოლიტიკაში, მეზობლობაში ეს რომ ისე არ ხდება, როგორც ე.წ. ქართველ პოლიტიკოსებს, მითუმეტეს „ექსპერტებს“ და მითუმეტეს აშკარად უცოდინარ ჟურნალისებს ჰგონიათ?

„საზიზღარი“ საბჭოთა კავშირიდან დაწყებული, რუსეთით გაგრძელებული, რუსეთს ევროპისთვის გაზი რომ არ გადაუკეტია?! არადა, რამდენი საბაბი ჰქონდა და აქვს ამისთვის კრემლს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ევროპაში განლაგება რად ღირს.

ავიღოთ თუნდაც ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებული სანქციები. რუსეთმა საპასუხოდ გაზი გადაკეტა?

წლების განმავლობაში გრძელდება უკრაინა-რუსეთის „გაზური“ ომი, მაგრამ რუსეთს წარბიც არ შეუხრია კონტრაქტით გათვალისწინებული გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით. ის კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელშეკრულების მოთხოვნებს და ასეც გააგრძელებდა, რომ არა უკრაინის ხელისუფლების პროვოკაციული გადაწყვეტილება.

არც ჩინეთს და არც რომელიმე იმპორტიორ ქვეყანას საყვედური არ გამოუთქვამს რუსული გაზის მიწოდებასთან დაკავშირებით და რაღა საქართველოსთან გაუწყრება ღმერთი?

ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი ყველა საქმეში დამნაშავედ რუსეთს მიიჩნევს. არც ერთ შემთხვევაში — საკუთარ თავს. ისტორიულს რომ თავი დავანებოთ, გავიხსენოთ 2008 წელი. ფუჭია მტკიცება იმისა, რომ რუსეთმა ჩაგვითრია სამხედრო ავანტიურაში. „ჩათრევა“ თინეიჯერებს ემართებათ და არა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. იქნებ ჩვენ დავაპირეთ მისი ჩათრევა, უფრო სწორად, ჩვენმა ე.წ. სტრატეგიულმა პარტნიორმა, რომელმაც სააკაშვილს ხელი ჰკრა ავანტიურისკენ? მიზანი მათი? — რუსეთის რეაქციის გაგება, კავკასიაში ანტირუსული კოცონის დანთება!!!

არ გამოვიდა. ტერიტორიებიც დავკარგეთ და ცხოვრებაც გავირთულეთ. თან ისიც ვთქვით — რა მოხდა, ისედაც დაკარგული იყო და რამდენიმე ხრიოკი სოფელი, არაფერს წარმოადგენსო“.

რუსეთი ოფიციალურად აცხადებს, რომ ნეგატიურად ეკიდება თავის საზღვრებთან, განსაკუთრებით სამხრეთის, ნატოს მიახლოებას. ჩვენ კი დაბეჯითებით მივიწევთ ნატოსკენ. როდესაც ნატოს სასწავლო ცენტრს ხსნი — გამოწვევაა; გამოწვევაა, როდესაც საზოგადოებისთვის საიდუმლოებით მოსილ ლუგარის სახელობის ბიოლოგიურ ლაბორატორიას ხსნი; როდესაც საერთაშორისო არენაზე გამუდმებით ლანძღავ რუსეთს და ა.შ.

მიუხედავად ამ გამაღიზიანებელი გამოწვევებისა, რუსეთის ხელისუფლებას ანტიქართული ნაბიჯი არ გადაუდგამს. პირიქით, ფართოდ გაგვიღო საკუთარი ბაზრის კარი და ნება დაგვრთო ღვინის, მინერალური წყლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეტანისა...

რუსული ბაზარი უკიდეგანო და ნოყიერია, რაც კარგად იცის მსოფლიომ და მაქსიმალურად ცდილობს იქ მოხვედრას. ევროკავშირის სანქციებმა რუსეთის ბაზრის ფართო ათვისების დიდი შესაძლებლობა გაგვიჩინა, მაგრამ ვერ ვივარგეთ, ვერ გამოვიყენეთ. აზერბაიჯანმა და სომხეთმა ივარგეს, გამოიყენეს. აზერბაიჯანულ-სომხური ხილი, ბოსტნეული, ჩაი, ჩირი, ალკოჰოლური სასმელი, სხვა პროდუქცია მიაწყდა რუსულ ბაზარს. ჩვენ? — „გაზპრომი“ არ გვინდაო — ვყვირით. ნაცვლად იმისა, საკუთარ ქვეყანას ვუშველოთ.

საქართველო ლაპარაკობს ირანულ გაზზე, მაგრამ არაფერს ამბობს საჰაერო კავშირების, ბიზნესურთიერთობების, ტურიზმის, საბანკო მომსახურების აღდგენაზე. არადა, ყოველივე აღნიშნულის ამოქმედებას ჩვენი მხარე დაჰპირდა ირანს. ამ დაპირებიდან დღემდე ერთი წელიწადი გავიდა.

ნაცვლად იმისა გაფაციცებით თვალი ვადევნოთ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებს — „გაზპრომი“ არ გვინდაო, გავიძახით. არადა, თვით აზერბაიჯანმა ხელი მოაწერა „გაზპრომთან“ გაზის მიღებაზე, რუსეთი და ირანი შეთანხმდნენ იმაზე, რომ ირანი რუსეთიდან შეიძენს გაზს, ქვეყნის ჩრდილოეთისთვის და იგივე რაოდენობის გაზს დაუთმობს რუსეთს ქვეყნის სამხრეთში.

ირან-აზერბაიჯანს შორის ინტენსიურად მიმდინარეობს ენერგეტიკულ-ეკონომიკური კავშირების გაფართოება. საცაა დასრულდება აზერბაიჯან-ირანს შორის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო გააფართოებს ე.წ. სამხრეთ-ჩრდილოეთის ცნობილი კომუნიკაციის შესაძლებლობებს. რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საავტომობილო გადაზიდვებს, სარკინიგზოც დაემატება. სპარსეთის ყურიდან წამოსული ტვირთები ირან-აზერბაიჯან-რუსეთის გავლით ევროპა-ცენტრალური აზიისკენ წავა და, პირიქით, რაც დიდ შემოსავალს მისცემს ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს.

ჩვენ? — არც რუსეთი გვინდა და არც ირანი. მარტო ამერიკა გვინდა, ვისაც სჭირდება საქართველოს ტერიტორია ანტირუსულ-ანტიირანული პლაცდარმისთვის. არადა, არსებობს პროექტი, რომელსაც ტრანსკავკასიური ჰქვია. პროექტის შესახებ ბევრი მოსაზრება გამოითქვა, ცხადია, რუსეთში. ნაწილი, ალბათ, განხორციელდება სამხრეთოსეთის მიმართულებით, მაგრამ რაც შეეხება ამ ხაზის სრულ ამოქმედებას, ჯერაც ბევრი ბარიერია — განსაკუთრებით ქართული.

მაინც ვიმედოვნებ, რომ ხვალ თუ არა ზეგ, კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარება კარდინალურად შეიცვლება და შექმნილი მდგომარეობა, განსაკუთრებით ეკონომიკური, გვაიძულებს გადავდგათ ნაბიჯი, რომელიც არა მარტო ქვეყნის სოციალურ ყოფას და ეკონომიკურ გაჯანსაღებას წაადგება, არამედ პოლიტიკურსაც.

მით უმეტეს, რომ ამ დღეებში თვით ამერიკამ ამ დღეებში ირანს სანქციები მოუხსნა და ამით ახალი ერა დაიწყო ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში.

ნებისმიერი სახის ეკონომიკური კავშირი რომ ერთმანეთთან დაახლოების ნაცადი გზაა — მტკიცება არ სჭირდება. გარდა ამისა, ეს არის უმუშევრობის შემცირების, დასაქმების, აღმასვლის გზაც. ის ძალაუნებურად გაიძულებს მეტი პოზიტივის ძებნას. შორს წასვლა არ დაგვჭირდება, სამხრეთ ოსეთთან ჩვენი ურთიერთობები გავიხსენოთ, რომელთაც ერგნეთის ბაზრობიდან ჰქონდა საწყისი. ვერ გამოვიყენეთ. სააკაშვილის იდიოტურმა პოლიტიკამ ძალისმიერად მოსპო ერგნეთი და მასთან ერთად ქართულ-ოსური ურთიერთობების აღორძინების კერაც.

...ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მოქმედი თბილის-სოხუმის რკინიგზა და მასთან ერთად ქართულ-აფხაზური საქმიანი კავშირები, დამატებული, რუსულ-ქართულ-სომხური თანამშრომლობა, რკინიგზით გადატანილი ტვირთები, ტრანზიტით შემოსული თანხები და, რაც მთავარია, იმ გაუცხოების ხაზის გადაკვეთა, რომელიც ჩვენსა და აფხაზებს შორის 25 წლის წინათ გაჩნდა!... თუ ამას დავუმატებთ სომხურ-ირანულ რკინიგზას და სპარსეთის ყურიდან წამოსული ტვირთების გატარებას არა მარტო რუსეთის, არამედ ევროპის მიმართულებით, ჩვენს ეკონომიკას ძაღლიც არ დაჰყეფს.

ჩვენ კი სირაქლემას პოზაში ვართ და სანგრიდან ვყვირით — რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა გააუქმოს და ტერიტორიები დაგვიბრუნოსო. არ მოხდება ეს, საერთო ენა თუ ვერ გამოვნახეთ! რაც მოხდება — კიდევ უფრო მძიმე იქნება საქართველოსთვის, თუკი გონს არ მოვეგებით.

დავუბრუნდეთ ტრანსკავკასიის რკინიგზას და მის აბსტრაქტულობასთან ერთად, ხვალინდელ რეალობაზეც მივიტანოთ გულისყური. 140 კილომეტრის რკინიგზის ხაზის მშენებლობა ჩრდილოეთ ოსეთის სადგურ ალაგირიდან ცხინვალამდე, რუსეთ-სამხრეთ ოსეთ-საქართველო-სომხეთის რკინიგზის მაგისტრალი, შემდეგ სომხეთ-ირანის ტვირთბრუნვას 40%-მდე გაზრდის და გააიაფებს სამხრეთ აზიის, ოკეანიის ქვეყნებიდან წამოსული ტვირთების გადაზიდვას რუსეთ-ევროპაში, გარდა ამისა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

დიახ! სოხუმ-თბილისის რკინიგზის აღდგენა ისე, როგორც ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობა აბსტრაქციის საგანია დღეს. მაგრამ ხვალ თუ ან ზეგ, ის აუცილებლად რეალობა გახდება.

რეგიონში შექმნილი ვითარება აიძულებს კავკასიის ქვეყნებს მეტი ინტეგრაციისკენ, სარკინიგზო, საჰაერო, საავტომობილო, საზღვაო მარშრუტების ამოქმედებისკენ, რაც თავისთავად გადაგვადგმევინებს ნაბიჯს, დღეს რომ შეუძლებლად მივიჩნევთ. რომ იტყვიან — ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო და რაც უფრო სწრაფად მოხდება „ჩაყოლა“, მით უკეთესი ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური ყოფისთვის, დამოუკიდებელი პოლიტიკისთვის.

დიახ! საქართველოს პოლიტიკამ ძალა უნდა მოიკრიბოს „რეალპოლიტიკის“ განსახორციელებლად და უკუაგდოს არამზადა გიგი თევზაძის და მისთანების მოსაზრება, რომელიც ერს სამარეში ექაჩება: „საქართველოში შობის აღნიშნა არის ოკუპანტების მხარდაჭერა და კიდევ ერთი ნაბიჯი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ“.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# წიგნი დიდ საფიქრალზე

**ინფორმაციის, მით უფრო ბეჭდვური პროდუქციის მოზღვავებისას, ვიდრე რომელიმე ახალ წიგნს გადახედავ, უპირველესად ის გაინტერესებს, აქვს თუ არა მის ავტორს იმ საკითხებზე საუბრის მორალური უფლება, რომლებსაც მისი ნაშრომი ეძღვნება. ამ მხრივ ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ანზორ ბაბუხადია ჭეშმარიტად გამორჩეული პიროვნებაა.**

ის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, იაკობ გოგებაშვილის მედლით, ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საერთაშორისო ფონდის ოქროს მედლით, მინიჭებული აქვს „ჩოხოსანი რაინდის“ და საქართველოს მწერალთა კავშირი „მართალი სიტყვის რაინდის“ საპატიო წოდებები.

ბატონი ანზორის მართალ, პრინციპულ სიტყვას, ალბათ, ბევრი დაეთანხმება, ვინც იცნობს პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მის პუბლიკაციებს და წიგნებს – „მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს“, „კვლავაც ვწეროთ და ჩვენვე ვიკითხოთ?“ „პრობლემა ნომერი პირველი“, „აფხაზეთი – სატკივარი ჩვენი“, „გზა ვარდისფერი“, „მასალები საბრალდებო დასკვნისათვის“, „საქართველო არის ესე“, „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“ და დღემდე უკვე გამოცემულ 8 კრებულს, რომელთა საერთო სათაურია „შეცდომა თუ დანაშაული“. ამ ფრიად საინტერესო ციკლს ახლახან შეემატა მეცხრე წიგნი „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!“

მასში შეტანილი პუბლიცისტური და ოფიციალური წერილები ძირითადად ოთხ თემას ეძღვნება. პირველი მათგანია არჩევნების პრობლემა, რომელიც სიღრმისეულად არის გაანალიზებული. კრებულში როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების მისამართით გამოთქმულია ფრიად სერიოზული ბრალდებები და დასაბუთებულია სრულიად განსხვავებული მოსაზრება, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ ყბადაღებული პრობლემის ქვეყნის საკეთილდღეოდ გადაწყვეტის ყველაზე ოპტიმალური გზაა.




„არჩევნების მოქმედი სისტემით, მის მიმართ ხელისუფლებისა და ხალხის დამოკიდებულებით ჩვენ „ევროპელები“ კი არა, სადღაც ჯურღმულში ჩარჩენილი ქვეყანა ვართ“, – ამბობს წიგნის ავტორი და დასძენს, რომ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც სრულიად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, დროებით, ანუ ვიდრე ჩვენ „ევროპელები“ გავხდებით და არ გადავეჩვევით არჩევნების გაყალბებას, მაქსიმალურად უნდა შევეზღუდოთ დეპუტატად არჩევის საშუალება და ამისთვის გარკვეული ხნით პრაქტიკულად უარი უნდა ვთქვათ პროპორციულ არჩევნებზე.

რით ასაბუთებს თავის მიერ შემოთავაზებული სისტემის უპირატესობას?

პასუხი უმარტივესია. ამომრჩეველი ვიღაცის მიერ სხვადასხვა მაქინაციით შედგენილ სიაში არც თუ უანგაროდ შეტანილი კარიერისტის ნაცვლად მხარს დაუჭერს იმას, ვინც მის თემში, სოფელში, რაიონსა თუ ქალაქში გამორჩეული პიროვნებაა და ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რათა ღირსეულად ემსახუროს როგორც ქვეყანას, ისე იმას, ვინც მას ხმას აძლევს.

ავტორი თავს არ იტყუებს ილუზიით, რომ ქვეყნის მართვის სადავეებიდან პოლიტიკოსთა ჩანაცვლების მისეულ ვარიანტს ოვაციით შეეგებებიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მაგრამ არც თუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ ნეპოტიზმისა და კორუფციის ტყვეობიდან თავდახსნისათვის სხვა რეალური გზა ჯერჯერობით არ ჩანს და ქვეყანას რომ ეშველოს, საჭიროა ამგვარი ქირურგიული ჩარევა. ეს შეიძლება უაღრესად მტკივნეულიც იყოს, მაგრამ სასიცოცხლო აუცილებლობაა.

ერთიც, წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ ყველასა აქვს უფლება, სადაც უნდა, იქ დახარჯოს თავისი ფული, ოღონდ არა იმ მიზნით, რომ პრეზიდენტობა, მერობა, ან დეპუტატობა იყიდოს!

„გახდი, ბატონო, პრეზიდენტი, მერი, დეპუტატი და მერე, როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება, უფრო კარგად გამოჩნდება, ქველმოქმედი ხარ თუ ფულიანი მოძალადეო“, – ასკვნის ა. ბაბუხადია.

როგორია ჩემი დამოკიდებულება არჩევნების შესახებ ბატონ ანზორ ბაბუხადიას იდეასთან დაკავშირებით? „პირადად მე ვიღაცას მიერ შერჩეულ და დანომრილ დეპუტატობის კანდიდატზე მეტად ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატს ვენდობი“.

ვფიქრობთ, რომ ბაბუხადიას მიერ შემოთავაზებული წინადადებები საარჩევნო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით, საზოგადოებისა და ხელისუფლების გადაუდებელი სპეციალური განსჯის საგანი უნდა გახდეს, რათა, ბოლოს და ბოლოს, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები, მართლაც რომ არჩევნები იყოს.

* * *

**ქართული ენის** გადარჩენის უმტკივნეულეს პრობლემებს ეძღვნება წიგნის მეორე განყოფილება. იგი იხსნება „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ინტერვიუთი, რომელსაც ფრიად „ფეთქებადსაშიში“ სათაური აქვს: „დადასტურებული, უტყუარი ფაქტები საბრალდებო დასკვნისათვის“. ამ პუბლიკაციას წინ უძღვის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, „საერთო გაზეთში“, „საქართველოს რესპუბლიკასა“ და ბეჭდვური პრესის სხვა ორგანოებში გამოქვეყნებული ანზორ ბაბუხადიას წერილების ჩამონათვალი, რომელიც უმძაფრეს სურათს ქმნის. ინტერვიუერი, ჟურნალისტი ანა ვადაჭკორია ამ ჩამონათვალის საფუძველზე ასკვნის, რომ საქართველოში ქართული ენის დასაცავად ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა ძველი ხელისუფლება და თითქმის იგივე გრძელდება დღესაც. ჟურნალისტის ამ შეხედულებას კიდევ უფრო განამტკიცებს რესპონდენტის მიერ დასახელებული კონკრეტული მაგალითი. 2011 წლის 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით ღია წერილი გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელ თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს. წერილში ჩამოყალიბებული იყო დედაენის დაცვის კონკრეტული წინადადებები და მათი ოპერატიულად გადაწყვეტის თხოვნა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ეს წერილი ყოველგვარი კონკრეტული დავალების გარეშე გადაუმისამართა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს გოკა გაბაშვილს, ამ უკანასკნელმა კი არაფრისმთქმელი რეზოლუციით დააწერა თავის მოადგილეს ხათუნა ოჩიაურს. ავტორმა, როგორც იქნა, მოახერხა და ოჩიაურს ოფიციალურ მიღებაზე ეწვია, მაგრამ დეპუტატი შეეცადა, დაემტკიცებინა, რომ ქვეყანასა და პარლამენტს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს გადასაწყვეტიო და იმისთვისაც კი „ვერ მოიცალა“, რომ დაპირებული პასუხი წერილობით მაინც გაეგზავნა.

სამწუხაროდ, დედაენის დაცვის საკითხი დღესაც რომ ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული, ეს თვალნათლივია თუნდაც იმ უცხოენოვანი რეკლამებით, რომლებიც უხვად არის როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვა ქალაქებში.

* * *

**წიგნის** მესამე განყოფილება იხსნება ფრიად მოკრძალებული თხოვნით პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერმინისტრისა და იუსტიციის მინისტრისადმი: აღუდგინონ ჩვენს ქვეყანას თავისი ღირსეული და კანონიერი სახელი.

ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ჩვენს სამშობლოს საერთაშორისო დონეზე დონეზე ეწოდოს **საქართველო**, გამოქვეყნებისთანავე ძალიან ფართო გამოხმაურება მოჰყვა და სამწუხაროა, რომ უშუალოდ ხელისუფლების მიერ გადასაწყვეტი ეს საქმე, ფაქტობრივად, დღემდე ადგილიდან ვერ დაიძრა.

ანზორ ბაბუხადია ამტკიცებს, რომ პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა დახანებას არ ექვემდებარება და მრავალ უსერიოზულეს ფაქტორთა გათვალისწინებით, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება.

* * *

**მეოთხე** განყოფილებას, რომელსაც სათაურად ჰქვია „შენ გიმღერი, ჩემო თბილის-ქალაქო,“ შემთხვევით არა აქვს წამძღვარებული პოპულარული სიმღერის ამონარიდი. ეს მით უფრო სათქმელია, რომ 2015 წლის „თბილისობა“ ისე ჩატარდა, რომ სამი უდიდესი ქართველის – პოეტ პეტრე გრუზინსკის, კომპოზიტორ რეზო ლაღიძისა და ლეგენდარული ზურაბ ანჯაფარიძის ეს უკვდავი სიმღერა ერთხელაც არ გაჟღერებულა!!!

წიგნი, მრავალ სხვა ღირსებასთან ერთად, იმითაც გამოირჩევა, რომ ახლავს ამავე ავტორის როგორც იმ პუბლიკაციების ჩამონათვალი, რომლებიც შესულია ადრე გამოცემულ კრებულებში, ისე იმ სტატიებისა, რომლებიც ადრე გამოცემულ კრებულებში არ შესულა.

ვისურვებდი, რომ ასევე მოწესრიგებული და ბოლომდე მიყვანილი მენახოს ყველა ის კანონი, ბრძანება და განკარგულება, რომლებსაც ხელისუფლების სხვადასხვა რგოლში გამოსცემენ, მაგრამ არაჯეროვანი კონტროლის გამო მათი შესრულება გაუმართლებლად ჭიანურდება.



ამის მთავარი მიზეზი კი ავტორის აზრით, ის გახლავთ, რომ თბილისის მერია, არასათანადო საკადრო პოლიტიკის გამო, ადეკვატურად ვერ მართავს დედაქალაქის წინაშე მდგარ უკიდეგანო პრობლემებს.

**ალექსანდრე შენგელია**

## ამერ-იმერი



## როგორი იქნება ქართველებისთვის გადმოცემული ლევილი?

**დიასპორის** საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე სამუშაო ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში იმყოფება. პარიზში, საქართველოს საელჩოს შენობაში გაიმართა ლევილის შატოსა და მამულის სადიაგნოსტიკო სამუშაოებისა და მამულის მომავალი ფუნქციონირების განსაზღვრის მიზნით შექმნილი არქიტექტურული მისიის მიერ მომზადებული ანგარიშის პრეზენტაცია. მისიას ხელმძღვანელობს ვერსალის არქიტექტურული სკოლის პროფესორი, არქიტექტორი რიშარ საბატიე. მასთან ერთად პროექტის წარდგენაში მონაწილეობდნენ გუნდის სხვა წევრები, რომელთა შორის საერთაშორისო დონის ექსპერტები, პეიზაჟისტები და ინჟინრები არიან.

პროექტის განხილვაში, ასევე, მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გელა დუმბაძე და საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, აგრეთვე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთის რესპუბლიკაში, ეკატერინე სირაძე-დელონე და საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გოჩა ჯავახიშვილი. აღსანიშნავია, რომ ქართულ მხარესთან ერთად ფრანგმა არქიტექტორებმა პროგრამირების დეტალები წარუდგინეს ლევილის ამჟამინდელ მფლობელებს, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შთამომავლებს. განხილვას აგრეთვე ესწრებოდა ლევილის მერი ერიკ ბრევი.

არქიტექტორთა მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ლევილის მამულის ისტორიულ, არქიტექტურულ და ტექნიკურ ანალიზს, რომელიც მამულს ტერიტორიულ-ურბანისტულ ასპექტებში გაიაზრებს და მისი განვითარების ოპტიმალურ პერსპექტივებს სახავს. პროექტის მეორე ნაწილი, ასევე, განსაზღვრავს მამულის მომავალი მოწყობის სტრუქტურას. კერძოდ, მამულში ისტორიის, მეცნიერებისა და ხელოვნების ქართული აკადემიის დაარსებისა და მისი ფუნქციონირების სქემას: მამულში მოეწყობა პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მუზეუმი, ქართული ემიგრაციის მუზეუმი, მეცნიერების სახლი, ბიბლიოთეკა და არქივი, რომელიც ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული პირისათვის, სადაც ისტორიკოსების, მკვლევარების, ხელოვანებისა და მწერლებისათვის შესაბამისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პირობები შეიქმნება. ისტორიულ სივრცეში, რომელიც შატოს მნიშვნელოვან ნაწილს დაიკავებს, პერიოდულად გაიმართება საქართველოს დამოუკიდებლობის, პირველი რესპუბლიკის, 1924 წლის ეროვნული აჯანყებისა და სხვა ისტორიული თარიღების აღსანიშნავი ღონისძიებები, კონფერენციები, გამოფენები და სხვა.

აღნიშნული პრეზენტაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნების პროცესის დასრულებისათვის, რომელიც მრავალი წელია გრძელდება.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გელა დუმბაძემ და თეა წულუკიანმა სამუშაო შეხვედრა გამართეს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა ოჯახების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ბევრი კონკრეტული შეკითხვა ჰქონდათ ლევილის შატოს მამულის მომავალ ფუნქციონირებასთან და ამჟამად მამულში მობინადრე ადამიანების ბედთან დაკავშირებით.

## ტარტუს უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლება იწყება

**ტარტუს** (ესტონეთი) უნივერსიტეტი დაემატა იმ უნივერსიტეტების ჩამონათვალს, რომლის სტუდენტებსაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ქართულ ენას ასწავლიან. ქართული ენის კურსს დამწყებთათვის ერთი სემესტრის განმავლობაში ესტონელ სტუდენტებს თსუ ასოცირებული პროფესორი გიული შაბაშვილი წაუკითხავს, – იტყობინებიან თსუ-დან.

ევროპის ერთ-ერთ უძველეს და პრესტიჟულ უნივერსიტეტში კლასიკურ, ინგლისურ, გერმანულ, სხვა რომანულ, სლავურ, სკანდინავიურ, ბალტიისპირულ ენებთან ერთად ქართული ენის სწავლა პროექტის ფარგლებში სრულიად უფასოდ არა მხოლოდ ტარტუს, სხვა ესტონური უნივერსიტეტების სტუდენტებსაც შეეძლებათ. ტარტუს უნივერსიტეტის უცხო ენებისა და კულტურის კოლეჯში ქართული ენის შესწავლის მსურველთა რეგისტრაცია უკვე მიმდინარეობს. მეცადინეობები თებერვლის მეორე კვირაში დაიწყება. ქართული ენის კურსის პარალელურად, ესტონელი სტუდენტები გაეცნობიან საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს.

ჯი-ეიჩ-ენი, მედიანიუსი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# საქართველოს ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია კვლავ სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა

## 10 თანამოქალაქის დაღუპვაში სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ბრალს სდებენ სენატორ ლუგარის სახელობის ცენტრს

**თბილისი არ ეთანხმება სომხეთის ზოგიერთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში გამოქვეყნებულ მასალებს, რომლებშიც შეინიშნება კავშირი საქართველოს დედაქალაქის გარეუბანში მოქმედ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიასა და სომხეთ-საქართველოს საზღვართან ღორის გრიპით გახშირებულ დაავადებათა შორის. საქართველოს მხარეს მიაჩნია, რომ პუბლიკაციები გახდა ერთ-ერთი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების სადეზინფორმაციო საქმიანობის შედეგი.**

თბილისი არ აზუსტებს, თუ რომელი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურები შეეცადნენ ამას. დაავადებათა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის პაატა იმნაძის სიტყვებით, სომხეთის პრესაში ნახსენები ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, ან, უფრო ზუსტად რომ დავასახელოთ მისი სახელწოდება, სენატორ რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კვლევის ცენტრი – ეს არის ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რომელსაც მუდმივად აკონტროლებენ და სადაც ხშირად ჩადიან მისიები ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან, და საუბარი იმის შესახებ, რომ მასში ეწყობა ცდები და ექსპერიმენტები ადამიანებსა და ცხოველებზე – ეს ბოდვაა. ისევე, როგორც ის, რომ ლაბორატორიიდან პერიოდულად გაედინება სახიფათო შტამები, რომლებსაც მივყავართ სახიფათო ეპიდემიებთან.

საბაბად ახალი სკანდალური პუბლიკაციებისათვის, ლაბორატორიის შესახებ ამჯერად იქცა 10-ზე მეტი კაცის დაღუპვა ღორის გრიპისგან. მსხვერპლის დიდი ნაწილი ცხოვრობდა სომხეთ-საქართველოს საზღვრებთან. სწორედ ამ რეგიონში უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ღორის გრიპის, ქათმის გრიპის ეპიდემიების აფეთქებებს, დადასტურდა ციმბირის წყლულისაგან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაცემის შემთხვევები. სხვათა შორის, ლაბორატორიის მონაწილეობის შესახებ სამწუხარო მოვლენებთან დაკავშირებით, დადასტურებული არ ყოფილა და თავად ეპიდემიებიც ასეთებად არ ყოფილან მიჩნეული, ვინაიდან ზოგიერთი პარამეტრით არ შეესაბამებოდნენ ამ უბედურებას, და სანიტარიულ სამსახურებს სთავაზობდნენ თავი შეეკავებინათ ასეთი განსაზღვრის გამოყენებისაგან.

რამდენიმე წლის წინათ რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ, რომელიც შეშფოთებული იყო საქართველო-რუსეთის საზღვართან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის დაავადებათა აფეთქებით, მოითხოვა იმის დადასტურებანი, რომ ლაბორატორია ამ საქმეში მონაწილეობას არ ღებულობდა. თბილისმა მოიწვია რუსი ჟურნალისტების დელეგაცია, რომელიც იმყოფებოდა ლუგარის სახელობის ცენტრში და განაცხადა: იქ მიმდინარეობს მშვიდობიანი კვლევები. ამის შესახებ იხსენებს დღეს პაატა იმნაძეც: „ლაბორატორიაში იმყოფებოდნენ რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის ჟურნალისტები. პროფესიული თვალსაზრისით, ეს აბსოლუტურად ღია ლაბორატორიაა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვაქციოთ იგი საექსკურსიო ობიექტად. ეს მაინც ლაბორატორიაა. მასში მუშაობენ არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ რუსი მეცნიერებიც, გერმანელებიც, თურქებიც, სომხებიც, აზერბაიჯანელებიც. ასე რომ, იქ არაფერი დაფარული არაა“.

მიზეზი, ეტყობა, მართლაც არის რეგიონში სხვადასხვა დაავადებათა აფეთქებანი. მაგრამ აქ საკითხი იწყებს შეღწევას აღრიცხვის სპეციფიკის სიბრტყეში, ამა თუ იმ მონაცემების გამჭირვალობაში.

სსრ კავშირის დროს ვეტერინარული კონტროლი და მომსახურება მეცხოველეობის მეურნეობებში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო, დღევანდელი დღისაგან განსხვავებით. მეორე მხრივ, კონტროლიც ინფორმაციაზე იყო მეტად მკაცრი.

უეჭველია, ალბათ, ის რომ დღეს ლაბორატორიის მისამართით ნათქვამი ბრალდებები არ არის პირველი და არც უკანასკნელი. იგი ყოველთვის აღმოჩნდება საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოსახლეობის ან ცხოველების დაავადებათა შესამჩნევი დონის ამაღლების დროს.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



### ირანელმა ტყვეებმა, რომლებიც აშშ-ში გაათავისუფლეს, უარი თქვეს სამშობლოში დაბრუნებაზე

ვარაუდობდნენ, რომ გათავისუფლებულ ირანელებს თვითმფრინავით ჟენევაში ჩაიყვანდნენ, სადაც ასევე ჩამოვა 5 ამერიკელი, რომლებიც ირანმა გაანთავისუფლა. მაგრამ თვითმფრინავი ცარიელი გაფრინდა – ყოფილმა ტყვეებმა არჩიეს დარჩენილიყვნენ შტატებში.

### ტრამპმა სარა პეილინის მხარდაჭერა მიიღო, ისინი გვპირდებიან – ააღორძინონ ამერიკა „ახლა ან არასოდეს“

პეილინმა საჯაროდ განაცხადა თავისი გადაწყვეტილების შესახებ ტრამპთან ერთად მიიღოს მონაწილეობა წინასაარჩევნო მიტინგზე აიოვას შტატში, სადაც უკვე 1 თებერვალს გაიმართება სეზონის პირველი პარტიული არჩევნები.



ქალბატონი დიდი ხანია, არ ყოფილა დასაქმებული სარჩევნო თანამდებობებზე, მაგრამ, როგორც მიაჩნიათ, ინარჩუნებს უზარმაზარ გავლენას რესპუბლიკელების საარჩევნო კონსერვატიულ-ლიბერალურ ფრთაზე.

### ეუთოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ რუსეთი მონაწილეობას არ მიიღებს ასამბლეის მუშაობაში წლის ბოლომდე

რუსეთის დელეგაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების გადაუცემლობა ეუთოს ზამთრის სესიაში მონაწილეობისათვის ნიშნავს, რომ დელეგაცია არ მიიღებს მონაწილეობას ასამბლეის მუშაობაში 2016 წლის განმავლობაში, ნათქვამია ეუთოს ხელმძღვანელის ან ბრასერის



განცხადებაში. ქალბატონმა განმარტა, რომ ასეთი პირობები არის ევროსაბჭოს წესდებაში და ასამბლეის პროცედურულ წესებში.

### სანდერსმა დაბეჯითებით გაუსწრო კლინტონს წინასაარჩევნო რბოლისათვის საკვანძო შტატში

თვითგამოცხადებული სოციალისტი სანდერსი ავიწროებს ჰილარი კლინტონს დემოკრატიების სიმპათიებისთვის ბრძოლაში. ნიუ-გემპშირში, რომელიც ერთ-ერთი პირველი აძლევს ხმას პრაიმერიზზე, მან კლინტონზე თითქმის ორჯერ მეტი ხმა მოაგროვა – 60 პროცენტი 33 პროცენტის წინააღმდეგ. შეფასებისთვის მეორე მნიშვნელოვან აიოვას შტატში – კონკურენტები თანაბრად მიდიან.



### მოთარეშენი პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთში თავს დაესხნენ უნივერსიტეტს, დაახლოებით 20 კაცი დაიღუპა

ტერორისტები შეიჭრნენ სტუდქალაქში სამხრეთი მხრიდან ძლიერი ნისლის საფარქვეშ. ამ დროს იქ თითქმის 4 ათასი კაცი იმყოფებოდა. უმრავლესობამ მოასწრო გადარჩენა, მაგრამ ბევრი სტუდენტი და მასწავლებელი დაბლოკილი იყვნენ შიგნით. პოლიცია და სამხედროები აწარმოებენ სროლებს მოთარეშეთა მისამართით. დაახლოებით 50 კაცი დაიჭრა, დაღუპულთა ოდენობა ზუსტდება.

### ბრიტანეთის პოლიციამ დაკითხა 10 წლის მუსლიმანი, რომელსაც ერთმანეთში აერია სიტყვები „ტერორისტი“ და „ტერასა“

დაკითხვებით შეშინებულ ბიჭს ეშინია წერილობით გადმოსცეს თავისი აზრები, მისი ნათესავები შოკირებული არიან მომხდარით და სურთ, რომ სკოლამ და პოლიციამ ბოდიში მოუხადონ. ამ დროს ბრიტანული სასწავლებლები ვალდებული არიან ყურადღება ადევნონ მოსწავლეთა განწყობილებასა და ქცევას ტერორიზმის საწინააღმდეგო მოქმედების სტრატეგიის ფარგლებში.

## ფოტოფაქტი

შვეიცარიაში აგრარულ გამოფენაზე გაიმართა ძროხების კონკურსი. გოგონა-მოდელმა აუწია კუდი კონკურსის ერთ-ერთ მონაწილეს, რაც ეხმარება მას, უჩვენოს ამ ცხოველის მთავარი ღირსება – ჯიქანი.



### პროფილაქტიკის ხელოვნება

# თვალდასვა



**მშრალი თვალის სინდრომი ყველაზე მეტად იმათ ემუქრებათ, ვინც სამსახურში დიდ დროს კომპიუტერთან ატარებს.**

ნორმალურ მდგომარეობაში ადამიანი წუთში თვალს 18-ჯერ ახამხამებს. მაგრამ, როცა მონიტორის, პლანშეტისა და ნებისმიერი სხვა გაჯეტის ეკრანს უცქერს, ამას 3-5-ჯერ იშვიათად აკეთებს. ამის გამო, ცრემლის სითხე თვალებს არ რეცხავს და ისინი სათანადოდ არ ნამდებიან.

**მშრალი თვალის სინდრომის** დროს ავადმყოფი თავდაპირველად თვალებში ქვიშის შეგრძნებას, მჭრელ ტკივილსა და წვას უჩივის, თვალები ტკივდება, უწითლდება. მაგრამ, თუკი მკურნალობა დროულად არ დაიწყო, ამან შესაძლოა, რქოვანა დააზიანოს, თვალში ინფექცია შეიჭრას, წარმოიქმნას ეროზია და კაცმა ნაწილობრივ მხედველობაც კი დაკარგოს. ამიტომ, **გაჯეტების ინტენსიური მოხმარებისას აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი წესის დაცვა. კერძოდ:**

**1. ყოველი 20 წუთის შემდეგ მუშაობას, კითხვას ან თამაშს თავი უნდა დაანებოთ და ერთი წუთის განმავლობაში თვალები განუწყვეტლივ ახამხამოთ.**

**2. აუცილებლად უნდა დაარეგულიროთ ეკრანის განათება და სიკაშკაშე. ოთახში ან მოღუშულ ამინდში, სმარტფონისა და პლანშეტისთვის საკმარისია მთლიანი განათების ერთი მესამედი, შესაძლოა, ნაკლებიც. შეიძლება გაჯეტზე დამცავი აპკის დაწებება — ის ეკრანის მკვეთრ შუქს მოგუდავს.**

**3. მოწყობილობა სიბნელეში არ უნდა გამოიყენოთ — საჭიროა ზედა განათების, ანდა, თუნდაც, მაგიდის ლამპის ჩართვა. ისიც გახსოვდეთ, რომ გაჯეტით ფანჯრის წინ არ უნდა დაჯდეთ — ამ დროს ეკრანის ანარეკლი ხელს შეგიშლით.**

თვალები მარტო გაჯეტებისგან კი არა, ზაფხულობით მზის კაშკაშა სინათლისგანაც უნდა დაიცვათ, რომელიც უარყოფითად მოქმედებს რქოვანასა და კონიუნქტივზე. **ამიტომაც მზის სათვალე უნდა იყოს თითოეულის არა სასურველი, არამედ აუცილებელი აქსესუარი.**

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ თუკი საცურაო აუზში დადიხართ, აუცილებლად შეიძინეთ სპეციალური წყლის სათვალე, რომელიც ქლორიანი წყლისგან თვალებს დაშრობისგან დაიცავს.

**მთელი წლის განმავლობაში ჩვენი თვალები ქალაქის სმოგისგან დაცვას საჭიროებენ, რომელსაც სამრეწველო და სამანქანო გამონაბოლქვები წარმოშობს.** ამაში თქვენ სპეციალური საყოფაცხოვრებო მოწყობილობები დაგეხმარებათ, რომლებიც ჰაერს წმენდენ და ატენიანებენ.

ამის გარდა, ეცადეთ თავისუფალი დრო ქალაქიდან მოშორებით, სუფთა ჰაერზე — აგარაკზე, ტყეში, პარკში გაატაროთ. ხშირად ისეირნეთ და საკუთარი თვალებიც „ასუნთქეთ“.

**დიდი მნიშვნელობა აქვს ბინაში მტვრის მოცილებას, რომელიც თვალებისთვის ძალიან მავნეა.** გახსოვდეთ, რომ ბინის რეგულარული ნამიანი დალაგება ჯანმრთელობის საწინდარია. ასევე სუფთა უნდა გქონდეთ სახე და ხელები — **თუკი ხელ-პირი დაბანილი არა გაქვთ, თვალზე ხელი არავითარ შემთხვევაში არ მოიკიდოთ.**

**თვალები ასევე უნდა დაიცვათ უხარისხო ან ვადაგასული კოსმეტიკისაგან.** მაკიაჟი ღამე აუცილებლად უნდა ჩამოირეცხოთ. თავის დაბანისას რქოვანაზე შამპუნისა და სხვა ქიმიის მოხვედრას უნდა მოერიდოთ. როცა თმის ლაქს ხმარობთ, თვალები ყოველთვის დახუჭეთ.

**თვალის რქოვანაზე ცუდად მოქმედებს თამბაქოს ბოლიც,** ამიტომაც, უმჯობესია, ნურც თქვენ მოსწევთ და სხვასაც ნუ მოაწევინებთ.

**ფრთხილად იყავით ალკოჰოლის, ყავისა და მაგარი ჩაის მოხმარებისას** — ამ სასმელებს სიმშრალის ეფექტი აქვს, ამიტომაც თუკი მათ ინტენსიურად ეტანებით, თან დღე-ღამის განმავლობაში ცოტა სუფთა წყალს სვამთ, ნუ გაგიკვირდებათ, რომ თვალების რქოვანა უფრო მგრძნობიარე გაგიხდეთ.

დაბოლოს, ეცადეთ, რეგულარულად აკეთოთ თვალის ვარჯიშები — თვალების კუნთებს შეწყობილი მუშაობისთვის დატვირთვა სჭირდებათ. განსაკუთრებით კი ასეთი ვარჯიში გაჯეტების აქტიურ მომხმარებლებს სჭირდებათ.

დღის განმავლობაში ეცადეთ, გამონახოთ 10-15 წუთი რამდენიმე მარტივი ვარჯიშის გასაკეთებლად, რომლებიც კარგი მხედველობის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ.

**თვალები ჯერ დახუჭეთ, შემდეგ ფართოდ გაახილეთ. ვარჯიში 30 წამის ინტერვალით 5-6-ჯერ გაიმეორეთ.**

**საჩვენებელი, შუა და არათითით დახუჭულ ქუთუთოებს მსუბუქად ათჯერ დააწექით.**

**თავის მოუტრიალებლად აიხედეთ ზევით, ქვევით, შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ. ვარჯიში გაიმეორეთ 3-ჯერ 1-2 წუთის შუალედით. იგივე გააკეთეთ თვალდახუჭულმა.**

**თვალის კაკლები წრეზე ატრიალეთ, ჯერ საათის ისრის მიმართულებით, შემდეგ მის საწინააღმდეგოდ. ვარჯიში გაიმეორეთ 3-4-ჯერ 1-2 წუთის შუალედით. იგივე გააკეთეთ თვალდახუჭულმა.**

**საჩვენებელი თითი თვალებიდან 20-30 სანტიმეტრით მოაშორეთ და 3-5 წამით მარტო მას უცქირეთ. ვარჯიში რამდენჯერმე გაიმეორეთ.**

**ფანჯარასთან დადექით, მინაზე წერტილი ან ნაკაწრი მოძებნეთ და დააშტერდით, შემდეგ კი მზერა ფანჯრის მიღმა შორეულ ობიექტზე გადაიტანეთ, მაგალითად, მეზობელი სახლის სახურავზე. ვარიანტი: შეხედეთ ცხვირის წვერს, შემდეგ მზერა 2-3 მეტრით მოშორებულ საგანზე გადაიტანეთ, შემდეგ კიდევ მაქსიმალურად მოცილებულ საგანს შეხედეთ. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.**

**თავის გაუნძრევლად თვალებით 0-დან 3-მდე ციფრები „დახატეთ“, შემდეგ უკან წამოდით. შემდეგ იგივე 4-დან 6-მდე და 7-დან 9-მდე გაიმეორეთ. ეს ვარჯიში თვალების სისხლძარღვებში სისხლის მიკროცირკულაციას აუმჯობესებს.**

ყველაფერ ამასთან, პატივცემულო მკითხველო, წელიწადში ერთხელ მაინც ოფტალმოლოგთან მისვლა და გეგმური გამოკვლევის გავლა არ დაგავიწყდეთ!

### დაიხსომეთ!

# რისი ეშინია გრიპს?

**მედიკოსები გვაფრთხილებენ: გრიპის დაავადების ეპიდემიური და გაციებასთან დაკავშირებულ დაავადებათა აღმავლობა დეკემბრის მეორე დეკადაში დაიწყება, პიკს კი 2016 წლის იანვრის შუა რიცხვებში მიაღწევს.**

თქვენ გგონიათ, რომ გაციების შესახებ ყველაფერი იცით? იქნებ ასეც არის, მაგრამ, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება საკუთარი ცოდნა კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ.

**მითი №1. თუკი კაცს სიცხე არა აქვს, გარშემო მყოფთათვის იგი გადამდები არ არის.**

ინიფიცირებული გადამდები ჯერ კიდევ მანამდე ხდება, ვიდრე ავადმყოფობის ყველა ნიშანი — ციება, კუნთებისა და სახსრების ტკივილი, სისუსტე — გამოვლინდება.

**მითი №2. გრიპის აცრა ორი წლის მანძილზე მოქმედებს, ამიტომ ყოველ წელს მისი გაკეთება აუცილებელი არ არის.**

ეს, სამწუხაროდ, ასე არ არის. გრიპის ვირუსი უაღრესად ცვალებადია, ერთი ეპიდემიური სეზონის მანძილზეც კი უამრავი მუტაცია წარმოიშვება. თანაც იმუნიტეტის დაძაბულობა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად ქვეითდება, ამიტომაცაა, რომ მსოფლიოს წამყვანი ვირუსოლოგიური ლაბორატორიები ყოველწლიურად ახალ ვაქცინას ჰქმნიან. ამდენად, ყოველწლიური ვაქცინაცია აუცილებელია.

**მითი №3. ხანდაზმულ ადამიანთათვის აცრა სასურველი არ არის.**

გრიპის ვაქცინაცია ხანდაზმულ ადამიანებში ნებისმიერი მიზეზის გამო სიკვდილის ალბათობას ამცირებს. ციებიანი გრიპის ფონზე, რომელსაც სხვა დამახასიათებელი სიმპტომებიც ახლავს, მწვავე კორონალური სინდრომის (მიოკარდიის ინფარქტის, პროგრესირებადი სტენოკარდიის) ალბათობა მკვეთრად მატულობს. ამიტომაცაა, რომ **ყველა ხანდაზმულმა ადამიანმა გრიპის ვაქცინაცია უნდა ჩაიტაროს. იგივეს თქმა შეიძლება ბავშვებზე, რადგან მათი ინფექციაზე გამოხატული რეაქცია აქვთ.**

**მითი №4. თუკი კაცი უქუდოდ, ანდა ქალბატონი მოკლე კაბით დადის, ვიღაც ცივზე დაჯდება, მაშინ აუცილებლად გაცივდება.**

შესაძლოა, ასეც მოხდეს, თუმცა, არა ყოველთვის. ისე კი, ცხადია, წლის ცივ დროს უმჯობესია ქუდის დახურვა და შედარებით გრძელი კაბისა თუ ქვედაბოლოს ტარება, განსაკუთრებით ეს ბავშვებსა და ასაკოვან ხალხს ეხება. **ბავშვებს კი ქუდი ცელსიუსის +10 გრადუსზეც უნდა დაახუროთ** — საქმე ისაა, რომ თავიდან დიდი ოდენობით სითბო გაიცემა და თუმცა ამას თავისთავად გრიპის გამოწვევა არ შეუძლია, სამაგიეროდ იმუნიტეტის აქტივობას აქვეითებს, შესაბამისად დაავადების რისკსაც ზრდის.



**მითი №5. იმისათვის, რომ მალე გამოჯანმრთელდეთ, საჭიროა ოფლი კარგად მოიდინოთ.**

კარგია, თუკი ოფლს ვარჯიშის ან ფიზიკური მუშაობის დროს მოიდენთ. **სასარგებლოა, ასევე სიცხეში ოფლიანობა, რადგან ეს სხეულის ტემპერატურის რეგულაციის ფაქტორია.** რაც შეეხება ავადმყოფობებს, თანამედროვე მედიცინა პაციენტისთვის ნეგატიურ შეგრძნებათა მინიმიზაციას გულისხმობს. ამიტომ მრავალნიარი ანთების, ვირუსების და ა. შ. საწინააღმდეგო პრეპარატი გამოიყენება. კარგი იქნება, თუკი წინასწარ სიცხის დამწევ პრეპარატს მიიღებთ — მაშინ სისუსტესაც, ციებასაც და სხვა უარყოფით გამოვლენას თავს აარიდებთ.

**მითი №6. ვიტამინი C ვირუსებს კლავს.**

ეს სრული უაზრობაა. საერთოდაც, ხანდაზმული ადამიანებისთვის ვიტამინები — საკმაოდ სახიფათო რამაა, რადგან კიბოს რისკს ამაღლებს. ასკორბინის მჟავას დიდი დოზები კი შარდის ბუშტში კენჭების წარმოშობის ალბათობას ზრდის. ვიტამინები რამდენიმე სნეულების მკურნალობის დროს გამოიყენება, თუმცა გრიპი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება. ნატურალური სახით კი (მაგალითად, ლიმონში, ფორთოხალში), ვიტამინი C მადის სტიმულატორია და კარგი განწყობის შემქმნელი.

**მითი №7. გაციების დროს კარგია ნივრის ჭამა.**

**მეცნიერებს არა აქვთ ნივრის ეფექტიანობის დამადასტურებელი ფაქტები.** მის მოყვარულებთან ყოველდღიური ურთიერთობა კი, ცოტა არ იყოს, საეჭვო სიამოვნებაა. თანაც გრიპით ისინიც სხვებივით ავადდებიან.

**მითი №8. თუკი მაღალი სიცხე არა გაქვთ, წამლების დალევა აუცილებელი არ არის.**

სიცხის დამწევ პრეპარატებს, ჩვეულებრივ, მაშინ იყენებენ, როცა სიცხე 38-38,5 გრადუსამდე ადის. თუმცა კი **თავად რესპირატორული ვირუსული ინფექციის ფაქტი უკვე საბაბია არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების გამოსაყენებლად სიცხის უმნიშვნელო მომატების შემთხვევაშიც კი.** ეს აქვეითებს საერთო ინფექციური ინტოქსიკაციის სინდრომის გამოხატვას და ავადმყოფის უკეთ გამკლავებობის შესაძლებლობას იძლევა.

* * *

**სტატისტიკა მოწმობს, რომ საბავშვო ბაღში ან სკოლაში მისული ბავშვები წელიწადში 5-7-ჯერ ავადმყოფობენ, რაც ნორმადაა მიჩნეული.**

მედიკოსებმა შეამჩნიეს, რომ ბავშვებმა, ვინც საბავშვო ბაღში ადაპტაციას „გაუძვრა“, „ჩამორჩენას“ სკოლაში „ინაზღაურებენ“. ამის მიუხედავად, ბავშვების გაციებათა ოდენობის შემცირება შესაძლებელია.

**პირველი:** დიდად მნიშვნელოვანია სამედიცინო კონტროლი — გაციებული ბავშვები შინ უნდა იყვნენ;

**მეორე:** შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ბავშვებმა უნდა სვან თევზის ქონი — ვიტამინი D ვირუსებისა და მიკრობებისადმი ორგანიზმის წინააღმდეგობის გაწევის უნარს აძლიერებს.

საბავშვო ბაღში პატარის მიყვანამდე საჭიროა გაკაჟების პროცედურების ათვისება — ბავშვს ზედმეტად თბილად არ უნდა ჩააცვათ, ნება დართოთ სახლში ფეხშიშველმა იაროს, გაუკეთოთ კონტრასტული (თბილი-გრილი) ფეხების ან ხელების აბაზანები.

გვერდი მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

ძიუდო

# ორი ტუნისური ჯილდო


გურამ თუშიშვილი

**ორი წონითი კატეგორიის ექვსი ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობდა ტუნისის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც სალიცენზიო ქულებს იძლეოდა. ჩვენებმა ასპარეზობა ორი მედლით დაასრულეს: 100 კილოში ვერცხლის ჯილდო გურამ თუშიშვილმა დაიმსახურა, „ბრინჯაო“ კი ვაჟა მარგველაშვილს (66 კგ) ერგო.**

თუშიშვილმა ფინალამდე 3 შეხვედრა იპონებით მოიგო: ამერიკელი აიაქს ტადეჰარა, აზერბაიჯანელი ფირუდინ დადაშოვი და იტალიელი ვინჩენცო დარკო დაამარცხა, თუმცა ფინალი ესტონელ გრიგორი მინასკინთან დათმო. 66 კილოგრამში მარგველაშვილმა ზედიზედ ორ ორთაბრძოლაში იყოჩაღა – როდრიგე კუკუ (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა) და სულეიმან ჰამადი (საუდის არაბეთი) დაჯაბნა, მერე ფრანგ ლე ბლუსთან წააგო იპონით, დამამშვიდებელში ბექა შავდათუაშვილსა და აზერბაიჯანელ ტელმან ვალიევს აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

**გივი გაუა**

ჭიდაობა

# თითო — სამივე სინჯისა



**ბაქომ ცნობილი ფალავნის – მუშვიგ ისაევის ტრადიციულ მემორიალს უმასპინძლა.** შეჯიბრებაში თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკები მონაწილეობდნენ. საქართველოს წარმომადგენლებმა სამივე სინჯის თითო მედალი მოიპოვეს. 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში თბილისელმა გოგა მამიაურმა ფინალში ქარელელი ადილ მამადოღლი დაამარცხა, ხოლო 76 კილოში ბრინჯაოს მედალი გორელ გიორგი ბრეგვაძეს ერგო.

**ვაჟა ნოსირელი**

წყალბურთი

# სერბეთში ბიჭებს ვერ შევწვდით

**ბელგრადში დასასრულს უახლოვდება წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 16 ნაკრები მონაწილეობს. უკვე გამოვლინდნენ ის გუნდები, რომლებიც მედლებისთვის, V-VIII, IX-XII და XIII-XVI ადგილებისთვის ითამაშებენ. საქართველოს ნაკრებმა პირველ თორმეტეულში გასვლის რეალური შანსი დაკარგა.**

**საქართველო-ჰოლანდია 15:16 (2:1, 3:4, 2:4, 2:0, პ. 6:7)**

საქართველო: **ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (4), მარკო ელეზი (1), ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა (2), გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია (1), ზურაბ რურუა, კოტე გეგელაშვილი (1), ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი.**

მწვრთნელები – **იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.**

ჰოლანდია: **ელკო ვაგენაარი, იორან ფრაუენფელდერი, იორნ ვინკელჰორსტი (1), რუდ ვან დერ ჰორსტი, ლუკ გიელენი (3), რობინ ლინდჰოუტი (1), ლარს გოტემაკერი (1), ლარს რუეტენი, ჯეფ ვან დენ ბერსელაარი, როელენდ სპიკერი (1), ჯესი კოორმანი (1), თომას ლუკასი (1), რუბენ ჰოეპელმანი.**

მთავარი მწვრთნელი – **რობინ ვან გალენი.**

ქართველ და ჰოლანდიელ წყალბურთელ ვაჟებს საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ უთამაშიათ ერთმანეთთან. ყველა შეხვედრა დაძაბულობით გამოირჩეოდა. არც ბელგრადული პაექრობა გამოდგა გამონაკლისი. პოპოვიჩისა და ისელიძის შეგირდებმა ორთაბრძოლის პირველი წუთიდანვე შეუტიეს ტიტების ქვეყნის წარმომადგენელთა კარს და გეგელაშვილმა მალევე გახსნა ანგარიში. პირველი პერიოდი ჩვენებმა 2:1 მოიგეს. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში ქართველი წყალბურთელები ორბურთიანი სხვაობითაც კი დაწინაურდნენ, მაგრამ ჰოლანდიელებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა – 5:5. შესვენების შემდეგ ნიდერლანდელები გააქტიურდნენ და წინაც გავიდნენ ორი ბურთით. საფინალო სასტვენამდე ერთი წუთით ადრე ქართველმა წყალბურთელებმა ანგარიში გაქვითეს – 9:9. დაინიშნა პენალტები. ჰოლანდიელებმა რვა დარტყმიდან შვიდი გაგვიტანეს, ჩვენებმა კი მხოლოდ ექვსჯერ მიაღწიეს მიზანს (იმნაიშვილმა და ცრეპულიამ ვერ გამოიყენეს თავიანთი შანსი) და ერთი ბურთის სხვაობით დამარცხდნენ.



„მეოთხე რაუნდში ჩემს შეგირდებს ნერვებმა უმტყუნა და საკუთარი თამაში ველარ ვიპოვეთ. კიდევ კარგი, რომ პენალტებში გაგვიმართლა. ყოველივეს მიუხედავად, ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ“, – აღნიშნა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ჰოლანდიელთა თავკაცმა რობინ ვან გალენმა.

**როლანდ სპიკერი, ჰოლანდიელთა კაპიტანი:** გახარებულები ვართ, რომ გავიმარჯვეთ. ეს ჩვენთვის უმძიმესი მატჩი იყო.

**ზურაბ რურუა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** ვფიქრობ, რომ დღეს ბედი ნიდერლანდელებს სწყალობდა. ჩვენ ბოლო წამამდე ვიბრძოლეთ. პენალტების დარტყმაში ხშირად გვივარჯიშია, სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა...

**დღეს 12 საათზე საქართველოს ნაკრები მეცამეტე-მეთექვსმეტე ადგილებისთვის თურქეთის ნაკრებთან გაარკვევს ურთიერთობას.**

**ლევან ცინცაძე**

ჭადრაკი

# ლელამ ვაჟთა ჩემპიონი დაამარცხა

**14 მამაკაცი და 2 ქალი ჩაება საქართველოს ვაჟთა 75-ე ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება ნოკაუტ-სისტემით. მეტოქეები თითოეულ რაუნდში ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს კლასიკურ პარტიებში.** თუ საჭირო გახდა, გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნება ტაი-ბრეიკები, როგორც მერვედფინალში ნანა ძაგნიძისა და დავით ბენიძის პაექრობაში. მოწინააღმდეგეებმა თითო კლასიკური პარტია მოიგეს, 15-წუთიან სწრაფ ჭადრაკში კი ძაგნიძემ 1.5:0.5 გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გავიდა. მერვედფინალის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: მიხეილ მჭედლიშვილი-ბაჩანა მორჩიაშვილი 1.5:0.5, ნოე თუთისანი-ლევან ფანცულაია 0.5:1.5, დავით ჯოჯუა-გიორგი სიბაშვილი 1.5:0.5, ირაკლი ბერაძე-ლუკა პაიჭაძე 0.5:1.5, მერაბ გაგუნაშვილი-გიგა ყუფარაძე 1.5:0.5, დავით მაღალაშვილი-ლელა ჯავახიშვილი 0.5:1.5, თორნიკე სანიკიძე-კონსტანტინე შანავა 1.5:0.5.



მეოთხედფინალის პირველ ტურში ქალთა ნაკრების წევრმა ლელა ჯავახიშვილმა შავი ფიგურებით საქართველოს მოქმედ ჩემპიონ ლევან ფანცულაიას მოუგო, განმეორებითი ორთაბრძოლა ყაიმით დასრულდა და ჩემპიონის ტახტიც გათავისუფლდა – ფანცულაია საქართველოს ჩემპიონობას ერთი წლით დაემშვიდობა, ჯავახიშვილი კი ნახევარფინალში გავიდა, სადაც ქალთა ნაკრების კაპიტან დავით ჯოჯუას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა შეჯიბრებიდან ნანა ძაგნიძე გამოთიშა – 1.5:0.5 სძლია.

პოზიციები ვერ შეინარჩუნა 2015 წლის ვიცე-ჩემპიონმა მიხეილ მჭედლიშვილმაც – იგი თორნიკე სანიკიძესთან დამარცხდა – 0.5:1.5. სანიკიძე მეოთხედფინალში ლუკა პაიჭაძის მძლეველ (1.5:0,5) მერაბ გაგუნაშვილთან გაარკვევს ურთიერთობას.

შეჯიბრების მონაწილეებმა გუშინ დაისვენეს. დღეს ნახევარფინალის პირველი ტურის ორთაბრძოლები გაიმართება.

**ლაშა დიდია**

**სურათზე:** ლელა ჯავახიშვილი.

ფეხბურთი

# სამპაოლიმ ჩილეს ნაკრები დატოვა

**ჩილეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ხორხე სამპაოლიმ დატოვა. აღნიშნული ინფორმაცია იქაურმა ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა.**



„ხორხე სამპაოლისთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტი გაწყვეტილია“, – წერს ჩილეს ფეხბურთის ფედერაცია.

თავის მხრივ არგენტინელმა სპეციალისტმაც გააკეთა პირველი კომენტარი უმუშევრად დარჩენის შემდეგ:

„არ შემიძლია მუშაობის გაგრძელება იმ ადგილზე, სადაც იმაზე ნაკლები მოტივაცია მაქვს, ვიდრე ადრე მქონდა“, – ამბობს სამპაოლი.

ხორხე სამპაოლი ჩილეს ნაკრებს 2012 წლის დეკემბრიდან მოყოლებული წვრთნიდა და გუნდი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გაიყვანა, ხოლო გასულ ზაფხულს სამშობლოში გამართული კოპა ამერიკის ტურნირი ისტორიაში პირველად მოაგებინა. სამპაოლის მომავალს ევროპასთან აკავშირებენ. ამ ეტაპზე ორი გუნდი სახელდება ყველაზე აქტიურად – ლონდონის „ჩელსი“ და იტალიური „რომა“.

**გიორგი შოთაძე**

კალათბურთი

# ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო ცენტრი ქარიმ აბდულ-ჯაბარია



პოპულარულმა ამერიკულმა გამოცემა ESPN-მა ნბა-ს ყველა დროის საუკეთესო ცენტრის გამოსავლენად კალათბურთის ექსპერტებში გამოკითხვა ჩაატარა, რომლის შედეგადაც ექსპერტებმა საუკეთესოდ ნბა-ს 6-გზის ჩემპიონი ქარიმ აბდულ-ჯაბარი აღიარეს.

**ნბა-ს ყველა დროის 10 საუკეთესო ცენტრი ESPN-ის მიხედვით:**

**ქარიმ აბდულ-ჯაბარი, უილტ ჩემბერლენი, ბილ რასელი, შაკილ ონილი, ჰაკიმ ოლაჯუვონი, მოზეს მელოუნი, დევიდ რობინსონი, პატრიკ იუინგი, ჯორჯ მაიკანი, ბილ უოლტონი.**

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ლული ფერნანდესს გარჯას არ უფასებენ

**არგენტინელმა მოდელმა ლული ფერნანდესმა, რომელიც „ალბისელესტეს“ ერთ-ერთ თილისმად ითვლება, დაზარალებული გაჟონიასი არ იყოს ბევრი ითმინა, ბევრი ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, მოიწვია ჟურნალისტები და განაცხადა: თქვე ოხერ-ტიალებო, ჩემი მკერდისა და ბარძაყის ათამაშებაზე რომ თვალები გაქვთ დაჭყეტილი, შესაბამისი ანაზღაურება მაგიდაზე რატომ არ დევსო...**

საქმე ისაა, რომ არგენტინულმა სამოდელო სააგენტომ, რომელთანაც ლული აგერ უკვე მეხუთე წელია თანამშრომლობს, დიდი ფინანსური ზარალი განიცადა და ახლა ისეთ შავ დღეშია, მოდელებისათვის კონტრაქტით განსაზღვრული ანაზღაურების გადახდაც კი უჭირს. ამის მხილველი ქართველი გულში მაინც ჩაიბურტყუნებს – რუსეთი გვანახა მაგ დღეში და ჩემდათავად ვინც ცხოვრებაში რამეზე დაიწუწუნოსო... თუმცა, ახლა სულ სხვა ამბავს ვყვებით.

თუკი ლული ფერნანდესს „კატორღული“ შრომითა და გარჯით მოპოვებული ფული არ მისცეს, რა გამოდის? აქამდე ტყუილად უტკაცუნებია აზღუდის შესაკრავი და ტყუილად დაუტრიალებია ნახევარსაწმერთული ხელში? ტყუილად დაუტანჯია თავი ამდენი დიეტით და ტყუილად უსვია ლოსიონი ფაფუკ მკერდზე ყოველ დილითა და საღამოს, ჭამის წინ და ჭამის მერე? საქმეა ახლა ეს?...



**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ ეს შიდა ოსური პროდუქტია!

# მხარდაჭერა გრძელდება, მაგრამ...




**რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში მეორდება თეზისები, რომლებიც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს — აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შეეხება. მხარდაჭერა გრძელდება, მაგრამ არა შემდგომი დაახლოებით.**

**როგორც რადიო „თავისუფლებას“ რუსმა პოლიტოლოგმა სერგეი მარკედონოვმა განუცხადა, ახალ დოკუმენტში ცოტა რამ თუ შეიცვალა 2013 წლის სტრატეგიასთან შედარებით:**

— ერთადერთი ცვლილება ისაა, რომ წინა დოკუმენტში დიდი იმედები მყარდებოდა უკრაინის ევრაზიულ ინტეგრაციაზე, — ამიტომაც იყო მასზე საუბარი უფრო პოზიტიურ ჭრილში, სხვა მხრივ კი ყველაფერი უცვლელია — **პრიორიტეტებს შორისაა პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესები, მათ შორის — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის მოზაიკური შემადგენელი ნაწილები და, გარდა ამისა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სიმბოლურად მნიშვნელოვანი ფაქტორი.** აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იმის დემონსტრირებაა, რომ რუსეთს ძალუძს გარკვეული დროის განმავლობაში არსებული წესების შეცვლა, მაშინაც კი, როცა ეს გარე მოთამაშეების გაღიზიანებას იწვევს; შეუძლია მათი შეცვლა იმ პირობებში, თუ მის პოზიციას არ ითვალისწინებენ, როგორც ეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში მოხდა, როდესაც შეეცადნენ, რუსეთი მის ექსკლუზიურ ხარისხში სამშვიდობო პროცესიდან გაერიყათ. გარდა ამისა, ეს ავტონომიური წარმონაქმნების აღიარების პირველი შემთხვევაა. ახლა არ ვსაუბრობ იმაზე, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ეს გაკეთდა. ეს ურთიერთობების განსაკუთრებული სახეობაა, როდესაც ორ წარმონაქმნს არა აქვს საკმარისი აღიარება და გასაგებია, რომ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ისინი არ არიან საერთაშორისო საზოგადოების ისეთივე წევრები, როგორიცაა სომხეთი, ტაჯიკეთი ან ყირგიზეთი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი რუსეთის ფედერაციის სუბიექტები არ არიან. აი, ასეთი მდგომარეობა: მათი განსაკუთრებული სტატუსი მნიშვნელოვანია მოსკოვისთვის იმის საჩვენებლად, რომ მათი მხარდაჭერა გრძელდება, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთის გარკვეული იზოლაციისა.

**— ამ სტრატეგიაში პოსტსაბჭოთა სივრცე რა სტატუსითაა განხილული?**

— უპირველესად, როგორც პრიორიტეტი, ხოლო რა სტატუსით — აქ პატარა პრობლემას ვაწყდებით. ზოგიერთი ამბობს, აი, რუსეთი ვიღაცას არა მოკავშირედ, არამედ ვასალად განიხილავსო... პრობლემა ასეთ შეფასებაში არ არის. რუსეთი ყველას შემდეგი რეაქტიული პრინციპის მიხედვით განიხილავს: **თქვენ ჩვენს მიმართ კარგად ხართ განწყობილი? — მაშინ ჩვენც ასეთი განწყობა გვექნება, ხოლო თუ არა, მაშინ მივმართავთ რაღაც შემაკავებელ ზომებს.** ისიც კი, რომ სტრატეგიაში გაწერილი არ არის, არსობრივად, მომავლის რაღაც ხედვა, რუსეთის ერთგვარი ხელწერაა საგარეო პოლიტიკაში, უმთავრესად — ტაქტიკური და არა სტრატეგიული, რეაქტიული და არა პროაქტიური.

რუსეთის პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელ **ალექსეი მუხინის** აზრით კი, დოკუმენტში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტრატეგიული მნიშვნელობის ხაზგასმა იმაზე მეტყველებს, რომ ინვესტიციები ამ რესპუბლიკებში გაიზრდება იმ ფინანსური სირთულეებს მიუხედავად, რასაც ახლა რუსეთი განიცდის. შესაბამისად, — ამბობს მუხინი, — **„ყურადღება ამ რესპუბლიკებში პოლიტიკური, სოციალური და განსაკუთრებით ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ არ მოდუნდება, თანაც არა მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს, არამედ გენპროკურატურისა და შემოსავლების სამსახურის მხრიდან“: „საუბარია არა მარტო ფულის ჩადებაზე რესპუბლიკებში მოგების მიღების მიზნით, არამედ იმაზეც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითზე მიმზიდველი გავხადოთ რუსული პროექტი, ასე ვთქვათ, აუთსორთინგზე, ანუ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩართვის გარეშე. თუ ეს მაგალითი კარგი გამოდგება, მაშინ, სრულიად გასაგებია, რუსეთთან ურთიერთობის მსგავსი ფორმა მიღებული იქნება „შეიარაღებაში“ სხვა ტერიტორიების მიერაც, რომლებიც ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საჭიროებას განიცდიან,** მაგრამ უკმაყოფილონი არიან იმით, რომ შედიან სხვა, უფრო მსხვილი ტერიტორიული წარმონაქმნების შემადგენლობაში“.

**— ბრძანეთ „ჩართვის გარეშეო“... ნიშნავს თუ არა ეს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ დისკუსია არააქტუალურია?**

— დისკუსია სამხრეთ ოსეთში — ეს შიდა ოსური პროდუქტია. **გასაგებია, რომ ოსი ხალხი დაყოფილია სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად. გასაგებია, რომ იგი ისწრაფვის გაერთიანებისაკენ, მაგრამ ამ ეტაპზე ამ ნაბიჯთან დაკავშირებული რისკები და შესაძლო ნეგატიური შედეგები გადაწონის პოზიტიურს, ამდენად, ამ ინტეგრაციული პროცესისადმი ძალზე ფრთხილი, აუჩქარებელი და გააზრებული მიდგომა გვმართებს.**

---

ჯემალ კვირტია, მერაბ ზამბახიძე, სოსო არეშიძე, ნუგზარ იზორია, ვახტანგ ვარდიაშვილი, ირაკლი სულაბერიძე, კონსტანტინე სიჭინავა, გიზო კუხალაშვილი, გურამ მათითაშვილი, თემურ ვერულაშვილი, თამაზ ჭელიძე, გობრონ წერეთელი, ტარიელ დგებუაძე, ჯემალ იობაშვილი, რეზო ფირაშვილი, პარმენ მიქაძე, თემურ ლომაშვილი, ფირო კოხრეიძე, ამირან ოთარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრამიტონ კვარაცხელია**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---



უახლოესი მეგობრები ვაჟა ნადირაშვილი, მურმან რუხაძე, გულიკო მამასახლისი, ლერი კობალავა, ვარლამ აბულაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯემალ ღონღაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ნადირაშვილის ოჯახი იუწყება უახლოესი მეგობრის

**ჯემალ ღონღაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---



შვილი კახა, შვილიშვილები ალექსანდრე, მარიამ ღლონტები, რძალი ნესტან ხუნწარია, და ნუნა ბეღელაძე, დისწული მაია აგიაშვილი, სიძე ვანიკო მაჭავარიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლია ბეღელაძე**

პანაშვიდი 21, 22 I, გამოსვენება 23 I, 14 სთ. მისამართი: შროშის ქ. 16.

რევაზ თევზაძე, ზაზა, ნიკო თევზაძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ თამაზ სომხიშვილს მისი უფროსი ძმის ბატონ

**ჯემალ სომხიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

◉ ინფორმაცია

## H1N1 ვირუსით ორი ადამიანი გარდაიცვალა

„დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის“ ინფორმაციით, ორივე შემთხვევა დასავლეთ საქართველოში დაფიქსირდა.

პაატა იმნაძე პრევენციისთვის დაავადებული პირების იზოლაციის რეკომენდაციას იძლევა.

„მენეჯერებს ვთხოვ, არ დაუშვან დაავადებული პირები სამუშაო ადგილებზე. იგივე ეხება სკოლებსაც. დროულად მივმართოთ ექიმს პრობლემების შემთხვევაში“, — აღნიშნა ცენტრის წარმომადგენელმა, პაატა იმნაძემ.

---

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

---

◉ დაფიქრდით!

# რა ხდება ორგანიზმში გაზიანი სასმელების დალევის შემდეგ

**გიფიქრიათ კი იმაზე, რა ხდება თქვენს ორგანიზმში კოკა-კოლას, პეპსი-კოლას, ფანტას და, საზოგადოდ, გაზიანი სასმელების დალევიდან ერთი საათის შემდეგ? ალბათ, არა, თორემ დაფიქრებისთანავე, ბევრს აღეძვრება ამ კითხვაზე პასუხის მიღების სურვილი და სათანადო ინფორმაციასაც ადვილად მოიძიებს.**

ფარმაცევტმა ნირაჟ ნაიკმა შექმნა ინფოგრაფიკა, რომელიც დაწვრილებით ხსნის ამ პროცესებს. ინგლისურენოვან ინტერნეტში მას უმალვე მიეწება ვირუსი, რადგან ისტორია და ინფორმაცია დაუყოვნებლივ აიტაცეს წამყვანმა მსოფლიო გამოცემებმა. მაინც რა ხდება ორგანიზმში გაზიანი სასმელების დალევის შემდეგ?

პირველი 10 წუთის განმავლობაში: ორგანიზმი იღებს 10 კოვზი შაქრის ძლიერ დარტყმას (ცნობისათვის - ბევრი სპეციალისტი შაქრის ამ რაოდენობას სადღეღამისო ნორმად მიიჩნევს), თუმცა, ადამიანი ვერ გრძნობს ჭარბ სიტკბოს - ფოსფორის მჟავა ახშობს მას.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: მაშ, რატომღა უმატებენ კოკა-კოლას, პეპსის ან სხვა გაზიან სასმელებს ამდენ შაქარს? პასუხი მარტივია: ის დოფამინის (მოტივაციისა და სიამოვნების ნეირომედიატორის) მოჭარბებას იწვევს. ეს, ასე ვთქვათ, ტკბილ ნარკოტიკზე ადამიანის „შესმაა“.

20 წუთის შემდეგ: სისხლში შაქრის დონე სწრაფად ეცემა. ამას განაპირობებს ინსულინის მკვეთრი გადმოტყორცნა. ღვიძლი, ცხადია, რეაგირებს ამ მეტამორფოზებზე და შაქრის ჭარბ ოდენობას ცხიმად გარდაქმნის.

40 წუთის შემდეგ: ორგანიზმი იწყებს სასმელში არსებული კოფეინის შთანთქმას. გუგები ფართოვდება, სისხლის წნევა კი იმატებს. ღვიძლი იწყებს სისხლში ჭარბი შაქრის გადმოსროლას. ადენოზინი ბლოკავს ტვინში დაღლილობის რეცეპტორებს და ძილმორეული ადამიანი ფხიზლდება.

45 წუთის შემდეგ: კოკა-კოლას, პეპსი-კოლასა და სხვა გაზიანი სასმელების დალევის შედეგად გამოთავისუფლებული დოფამინი აგრძელებს ტვინში სიამოვნების ცენტრების სტიმულაციას. ადამიანი ჯერ კიდევ ამაღლებულ განწყობაზეა. ფიზიკურ დონეზე ეს ისევე მუშაობს, როგორც ჰეროინის შემთხვევაში.




60 წუთის შემდეგ: ფოსფორის მჟავა ბოჭავს ნაწლავებში კალციუმს, მაგნიუმსა და თუთიას. ეს გარკვეულწილად აჩქარებს მეტაბოლიზმს, მაგრამ ამავე დროს ანადგურებს კბილებსა და ძვლებს.

მოგვიანებით თამაშში ერთვება კოფეინის შარდმდენი თვისებები და ადამიანს ძალიან უნდება მოშარდვა.

**კიდევ უფრო მოგვიანებით: ადამიანს კვლავ ეძალება რაიმე ტკბილის მიღების სურვილი.**

**კიდევ დარჩა კოკა-კოლა? თუ არადა, ადამიანი ეშვება, ღიზიანდება და ფუჭად ფლანგავს დარჩენილ სამუშაო საათებს.**

აი, კიდევ რას აღნიშნავს ნირაჟ ნაიკი: „როდესაც ფარმაცევტად ვმუშაობდი, კარგად ვხედავდი, რა ხანგრძლივ ეფექტს ახდენდა გაზიანი სასმელების მიღება. ჩვენი კომპანიის თითქმის ყველა კლიენტი იყო პირი, რომელიც დღეში ერთ-ორ ბოთლ გაზიან სასმელს მაინც სვამდა. სამწუხაროდ, შემდეგ მათ გამუდმებით უხდებათ საგულე საშუალებების, წნევისა და შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატების შეძენა. გარდა ამისა, საბრალონი განუწყვეტლივ მკურნალობენ კბილებს და ხშირად ხდებიან მოტეხილობის მსხვერპლნი. განა ნორმალურია, რომ მსოფლიოში ყოველდღიურად 1,6 მილიარდი ბოთლი კოკა-კოლა იყიდება?!“

იქნებ ყურად იღოთ ნირაჟ ნაიკის ინფორმაცია და კიდევ ერთხელ დაფიქრდეთ, ღირს თუ არა კოკა-კოლასა და, საზოგადოდ, გაზიანი სასმელების დალევა. იქნებ ნატურალ წვენებსა და ნაყენებზე გადაერთოთ? არ გინდათ, შეინარჩუნოთ ჯანმრთელობა? იქნებ ამჯერად მაინც დაფიქრდეთ?

mkurnali.ge

# ქართული გენია როკვით განფენილი...

## სიურპრიზიც ამას ჰქვია



„სვეტის“ გენერალური დირექტორი თორნიკე ჯანელიძე, ანსამბლის ხელმძღვანელები ნინო და ილიკო სუხიშვილები

**ნათლისღების დღესასწაულზე ქართული ცეკვის ჯადოქარს, ლეგენდარული „სუხიშვილების“ დამაარსებელს ქალბატონ ნინო რამიშვილს დაბადებიდან 106 წელი შეუსრულდებოდა. წლეულს მის მიერვე დაარსებულ ანსამბლს 70 წელი შეუსრულდა და საიუბილეო ტურნეების მსოფლიო კასკადის დასრულების შემდეგ დასკვნითი კონცერტი მშობლიური დედაქალაქის წინაშე წარდგენით აღნიშნეს.** ანსამბლის ხელმძღვანელებმა, ლეგენდარული ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის შვილიშვილებმა, **ილიკო და ნინო სუხიშვილებმა** თუ რა წვლილი შეიტანეს ქართული ქორეოგრაფიის პოპულარიზაციაში და მათი დიდი წინაპრების მიერ დაარსებული ანსამბლის წინსვლასა და აღორძინებაში, ამაზე მსოფლიო პრესის, პროფესიონალთა და ქართული როკვით მონუსხულ ასობით მილიონ თაყვანისმცემელთა გამოხმაურებები, სიყვარული და აღიარებაც მოწმობს.



19 იანვრის საღამოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული შემოქმედებითი კონცერტი დასტურია იმისა, თუ როგორ არ ღალატობს ანსამბლი ტრადიციებს, დასტურია იმისა თუ როგორ უყვარს ქართველ ხალხს „სუხიშვილები“, დასტურია იმისა, თუ როგორი პირუთვნელი მსაჯულია ქართველი მაყურებელი სიდიადისა და პროფესიონალიზმის შეფასებისას. ეს დღე კიდევ ერთ ნათელ, ღირსშესაშნავ ფურცლად დარჩება ქართული ხელოვნების ისტორიაში და იმ ათიათასობით ადამიანის ცხოვრებაში, რომლებიც არა მარტო დარბაზში უცქერდნენ მსოფლიო საოცრებას, არამედ ტელევიზიითაც ტკბებოდნენ უნიჭიერეს მოცეკვავეთა ხელოვნებით.

ქალბატონმა ნინომ კონცერტის დასრულებისას, ძმასთან, ილიკოსთან ერთად მადლობა გადაუხადა ქართველ მაყურებელს, ყველას ვინც ერთგულია ქართული ქორეოგრაფიული სკოლის ტრადიციებისა, საკუთარი ანსამბლის წევრებს, რომლებიც მისი დიდი ოჯახის „შვილები“ არიან, ყველა სპონსორს, ვინც ხელს უწყობს ანსამბლს, რომ მსოფლიო აზიაროს ქართულ ხელოვნებას და ბოლოს სიურპრიზებიც შემოგვთავაზა. ყველაზე ამაღელვებელი სწორედ ის წუთები იყო, როდესაც ანსამბლის ხელმძღვანელებმა დეველოპერული კომპანია „სვეტისა“ და კომპანია „სავარძლის“ წარმომადგენლებთან ერთად დაუვიწყარი საჩუქარი გაუკეთეს ქართველ მოცეკვავეებსა და ანსამბლის მუსიკოსებს – საჩუქრად გადასცეს ბინები „სვეტის ქალაქში“, ეს მართლაც გულისამაჩუყებელი და სიხარულის ცრემლის მომგვრელი იყო არა მარტო „სუხიშვილების“ ძველი თაობისა და მოქმედი მოცეკვავეებისთვის, რომლებიც დაჯილდოვდნენ, არამედ მათთვის, ვინც შემოქმედებითი კონცერტის კულმინაციას უყურებდა, რამეთუ ეს მართლაც მოულოდნელი გახლდათ ყველასთვის. ნამდვილი სიურპრიზი, დამსახურებული საჩუქარი იმ ღვაწლისთვის, შრომისთვის და პროფესიონალიზმისთვის, რითაც ისინი გვატკბობენ ჩვენ. მართლაც ამაღელვებელი იყო ფაქტი, როდესაც „სავარძლის“ წარმომადგენლებმა აფხაზეთიდან დევნილი მოცეკვავე ბაჩანა ჭანტურია ავეჯის შესაძენად ვაუჩერით დააჯილდოვეს და... მას ბინა არ აღმოაჩნდა, სადაც ამ ავეჯს შეიტანდა. სწორედ მაშინ ქალბატონმა ნინომ და ბატონმა ილიკომ თავიანთი კუთვნილი ბინა დაუთმეს საჩუქრად. ეს ხომ მათ დიდ სულგრძელობასა და ადამიანურ სიკეთეზე მეტყველებს.

მადლობა თქვენ, „სუხიშვილებო“ და „რამიშვილებო“, მადლობა იმ დიდი სიხარულისთვის, რომელსაც 70 წელია, ჩუქნით საქართველოს და მსოფლიოს.

**მამუკა ვაშაკიძე**

ქართული ცეკვის ჯადოქრები



## გილოცავთ!



საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„მამულიშვილთა გახსენება“** მიესალმება და გულთბილად ულოცავს **დაბადების საიუბილეო 75 წელს** საქართველოს სახელოვან მამულიშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მზიური აფხაზეთის მკვიდრს, მასზედ უსაზღვროდ შეყვარებულს, მუდამ **მშობლიურ კერაზე დაბრუნების მოლოდინში მყოფს,** აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულთა ოჯახების შერიგებისა და თანადგომის ჰუმანიტარულ კავშირ **„დიოსკურია-2005“**-ისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის პრეზიდენტს, უკეთილშობილეს, კაცთმოყვარე პიროვნებას, თადარიგის გენერალს, ბატონ

**სერგო წურწუმიას.**

ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში.

**ღრმა პატივისცემით**

**ბონდო კობაძე,**

**ფონდის პრეზიდენტი, დავით აღმაშენებლის, ექვთიმე თაყაიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატი.**

## ცინცხალი ანეკდოტები

— **სუიციდის** მცდელობა გქონიათ?
— კი! 150-ჯერ გადმოვხტი პარაშუტით!

* * *

— **სვეტა** მთვრალი მივიდა სახლში.
— შვილო, რა დაგივარდა მაქ? — ეკითხება დედა სამზარეულოდან.
— ჩემი ტანსაცმელი.
— მერე რატომ ასეთი ხმაურით?
— გახდა ვერ მოვასწარი!

* * *

**გოგო** სამარშრუტო ტაქსს მისდევდა, წაიბორძიკა და გუბეში ჩავარდა.
— რაო, გგონია, რომ ცურვით უფრო დაეწევი? — ჩაურბინა გვერდით მამაკაცმა.

* * *

**ქორწილი** თანდათან შედის ეშხში. პეტკამ პატარძალს შეხედა და, — ღმერთო, რას ჰგავს ეს მახინჯი პატარძალიო, — წამოიძახა.
— რა თქვი? — წაუჯიკავა გვერდით მჯდომმა.
— რა და, ვერ გავიგე, ბიჭია თუ გოგო.
— მოგკლავ, შენი! ეს ჩემი გოგოა.
— მაპატიეთ, ძალიან ლამაზი გოგოა. არ ვიცოდი, თუ მისი მამა იყავით.
— ახლა კი მართლა წაგაცლი თავს. მე მისი მამა კი არა, დედა ვარ!

* * *



**თუ** სათქმელი გტანჯავთ, მაგრამ ვერავისთვის გადაგიწყვეტიათ მისი განდობა, მოუყევით იგი ქმარს. ის არავის არ მოუყვება, რადგან არც კი მოუსმენია თქვენი ნათქვამი.


**გამოიწერეთ:**
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.
ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი 66434



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



**ავტორთა საყურადღებოდ!**
**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**


*გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!*